ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 139 (10225) | სამშაბათი, 14 ივნისი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დ ღ ე ს ნ ო მ ე რ შ ი ა:

თბილისს ჩამოვიდა ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ (1-ლი გვერდი).
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. დ. ჯავახიშვილმა სადილი გამართა ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ ჯავაჰარლალ ნერუს პატივსაცემად (1-ლი გვერდი).
ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ ჯავაჰარლალ ნერუს ყოფნა საქართველოში (1-ლი გვერდი).
მისასალმებელი დეპეშები ამხანაგ ნ. ა. ბულგანინის დაბადების სამოცი წლისთავის გამო (მე-2 გვერდი).
პარტიული ცხოვრება. — ვ. კოპალეიშვილი. — პარტიული ორგანიზაცია მეცხოველეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში (მე-2 გვერდი).
ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ სტალინგრადში (მე-3 გვერდი).
სტალინგრადიდან გაემგზავრა ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ (მე-3 გვერდი).
ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ ყირიმში ჩავიდა (მე-3 გვერდი).
ჯავაჰარლალ ნერუ ყირიმში (მე-3 გვერდი).
უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ტ. კალჩენკომ სადილი გამართა ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ჯავაჰარლალ ნერუს პატივსაცემად (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

## კომბაინერთა სოციალისტური შეჯიბრება

მოსავლის აღება სოფლის მეურნეობაში მუშაობის უმნიშვნელოვანესი, დამამთავრებელი ეტაპია. მოსავლის ასაღები ყველა სამუშაოს დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულებაზე დამოკიდებულია სახელმწიფოსათვის პურისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების ჩაბარების გეგმის წარმატებით შესრულება, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უზრუნველყოფა საკუთარი თესლით, საფურაჟე მარცვლეულით, წვნიანი და უხეში საკვებით საზოგადოებრივი პირუტყვისათვის, კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცება და კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება.

ახლა გადაუდებელი ამოცანა ის არის, რომ სწრაფად და უმოკლეს ვადაში ავიღოთ პურეულის მოსავალი. „მიჩნეულ იქნას სრულიად შეუწყნარებლად, — ნათქვამია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილებაში, — ისეთი მდგომარეობა, როცა მოსავლის აღების გაჭიანურების შედეგად მარცვლეულის დიდი დანაკარგია, და მოეთხოვოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს მტკიცე ბრძოლა გააჩაღონ მოსავლის დანაკარგის წინააღმდეგ. მარცვლეულის დანაკარგის ლიკვიდაციის გადამწყვეტი პირობაა მოსავლის აღების ვადების შემცირება. საჭიროა საქმე ისე მოეწყოს, რომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მარცვლეული თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება იწყებოდეს თავის დროზე დამწიფების მიხედვით და მთავრდებოდეს სულ ბევრი ათ სამუშაო დღეში“.

პლენუმის ამ მითითების განხორციელებისათვის ბრძოლაში მთავარი რგოლია კომბაინების დიდი წარმადობით გამოყენება. იმისათვის, რომ მოსავალი ათ სამუშაო დღეში ავიღოთ, ჩვენი რესპუბლიკის სინამდვილეში საჭიროა კომბაინის დღიური გამომუშავება ავიყვანოთ 18-20 ჰექტარამდე ნაცვლად შარშანდელი 10-12 ჰექტარისა. ეს არ არის იოლი საქმე და მოითხოვს კომბაინერთა და ყველა მექანიზატორის დაუღალავ მუშაობას.

საკოლმეურნეო სოფელში დიდი შრომითი აღმავლობაა. საბჭოთა ადამიანები გამსჭვალული არიან ერთი აზრით — ვადამდე შეასრულონ მშობლიური კომუნისტური პარტიის დავალებანი მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობის მისაღწევად. მექანიზატორთა პატრიოტული აღმავლობის გამომსახველია წითლის მტს-ის გ. დოლიძის მეცამეტე კომბაინის აგრეგატის კოლექტივის წერილი, რომელიც ამ დღეებში რესპუბლიკურ პრესაში გამოქვეყნდა.

წითლის მტს-ის კომბაინის აგრეგატის კოლექტივმა ძვირფასი თაოსნობა გამოიჩინა — გამოვიდა მიმდინარე წელს საქართველოს კომბაინის აგრეგატების კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორად და იკისრა შემდეგი ვალდებულებანი: მოსავლის აღება დაამთავროს ათ სამუშაო დღეში, ყოველდღიურად აიღოს 20-22 ჰექტარი ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 10 ჰექტარისა და საშუალოდ ჰექტარზე გალეწოს სულ მცირე 22 ცენტნერი მარცვლეული.

გაეცნენ რა წითელწყაროელ მექანიზატორთა წერილს, კომბაინერები, მექანიზატორები ებმებიან სოციალისტურ შეჯიბრებაში და ახალ ვალდებულებებს კისრულობენ. წითელწყაროს რაიონის ქედის მტს-ის კომბაინერმა ი. ყორიაულმა იკისრა ორი გადაბმული კომბაინით მოსავალი აიღოს 800 ჰექტარზე და გალეწოს 1.800 ტონა მარცვალი. ლაგოდეხის საყრდენ-საჩვენებელი მტს-ის კომბაინერმა ა. სომხიშვილმა პირობა დადო პურეულის მკისას გამოიყენოს საათობრივი გრაფიკი და დღეში აიღოს 20 ჰექტარი. შეჯიბრებაში ჩაება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, ახმეტის მტს-ის ს. რამაზაშვილის კომბაინის აგრეგატის კოლექტივი და სხვ.

მალე მოსავლის აღება გაჩაღდება. პურის მკამდე დარჩენილი დრო მთლიანად უნდა მოხმარდეს მოსამზადებელ სამუშაოთა დამთავრებას. უწინარეს ყოვლისა აუცილებელია კომბაინის აგრეგატების დაკომპლექტება კვალიფიციური კომბაინერებით, კომბაინერთა თანაშემწეებით, ტრაქტორისტებით, კოლმეურნეთა და მუშათა მუდმივი შემადგენლობით.

ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და პროფესიული ორგანიზაციები, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ხელმძღვანელი მუშაკები მოწოდებული არიან შექმნან ყველა პირობა იმისათვის, რომ კომბაინერებმა და კომბაინის აგრეგატების კოლექტივებმა მაღალი წარმადობით გამოიყენონ მანქანები, არ დაუშვან პურეულის დანაკარგები. კოლმეურნეობებში უნდა შეიქმნას კეთილმოწყობილი საველე ბანაკები, მოეწყოს საზოგადოებრივი კვება, სამრეწველო საქონლით ვაჭრობა და მინდვრად მომუშავეთა კულტურულ-მასობრივი მომსახურება.

პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან სათავეში ჩაუდგნენ კომბაინის აგრეგატების კოლექტივების სოციალისტურ შეჯიბრებას. შეჯიბრებაში მთავარია საჯაროობა. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყველა მექანიზატორი აქტიურ მონაწილეობას იღებდეს შეჯიბრებაში. დიდი მნიშვნელობა აქვს კომბაინერთა მუშაობის მეთოდებისა და ხერხების ფართოდ გავრცელებას. ეს იმას ნიშნავს, რომ შეჯიბრების შედეგები ყოველდღიურად ჯამდებოდეს, რათა თვითეულმა კომბაინერმა იცოდეს არა მარტო თავისი შრომის შედეგები, არამედ ისიც, თუ როგორ იმუშავეს მისმა ამხანაგებმა. თუ დღეს რომელიმე კომბაინერმა თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია, ხვალ ამ წარმატების შესახებ უნდა იცოდეს ყველა მექანიზატორმა. ეს საშუალებას მისცემს კომბაინერებს გამოიყენონ მოწინავეთა გამოცდილება.

საჭიროა წითლის მტს-ის კომბაინის აგრეგატის კოლექტივის წერილი გავაცნოთ კომბაინის აგრეგატების კოლექტივების მუშაკებს. პროპაგანდისტების, აგიტატორების ღვიძლი საქმეა განუმარტონ მექანიზატორებს, კოლმეურნეებს წითლის მტს-ის კომბაინის აგრეგატის კოლექტივის პატრიოტული ინიციატივის მნიშვნელობა პურეულის მოსავლის აღების ვადების შემცირებისათვის, მარცვლეულის დანაკარგის ლიკვიდაციისათვის.

ამხანაგო კომბაინერებო! კომბაინის აგრეგატების კოლექტივების მუშაკებო! მხარი დაუჭირეთ წითელწყაროელ მექანიზატორთა მოწოდებას, ფართოდ გააჩაღეთ სოციალისტური შეჯიბრება მოსავლის ათ სამუშაო დღეში აღებისათვის, თვითეული კომბაინის დღიური დავალების გადაჭარბებით განაღდებისათვის, პურის დამზადების გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

## თბილისს ჩამოვიდა ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ

13 ივნისს ყირიმიდან თბილისს ჩამოვიდა ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ. მასთან ერთად ჩამოვიდნენ მისი ქალიშვილი ინდირა განდი, ინდოეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი ნ. რ. პილაი, ინდოეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის განყოფილების გამგე ა. ჰუსეინი, ინდოეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში კ. პ. შ. მენონი.

პრემიერ-მინისტრ ჯავაჰარლალ ნერუს ახლავან სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, საბჭოთა კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ინდოეთის რესპუბლიკაში მ. ა. მენშიკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხრეთ აზიის განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი.

თბილისის აეროდრომი მორთულია ინდოეთის რესპუბლიკის, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმებით. წითელ ქსოვილებზე ჰინდი, რუსულ და ქართულ ენებზე წარწერილია სიტყვები: „სალამი პრემიერ-მინისტრ ნერუს! კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“, „გაუმარჯოს მშვიდობისმოყვარე ინდოელ ხალხს!“, „გაუმარჯოს სსრ კავშირისა და ინდოეთის ხალხთა მეგობრობას!“.

აეროდრომზე შეიკრიბა საქართველოს დედაქალაქის საზოგადოებრიობის მრავალი წარმომადგენელი. სტუმრებს შეხვდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. დ. ჯავახიშვილი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მჟავანაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი მ. ი. კუჭავა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები მ. პ. გიორგაძე, ო. დ. გოცირიძე, დ. ვ. მჭედლიშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ვ. გ. ქერქაძე, დ. გ. მამაცაშვილი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. კ. მაღრაძე, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ე. ა. სეხნიაშვილი, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ა. ლ. გუნია, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ა. ნ. ინაური, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე მ. მ. ლელაშვილი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი თ. ბ. ჯანელიძე და სხვები.

პიონერებმა ყვავილების თაიგულები მიართვეს ჯავაჰარლალ ნერუს და მის თანმხლებ პირებს.

ჟღერს ინდოეთის რესპუბლიკის ჰიმნი. მას ცვლიან საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ ჰიმნები.

პრემიერ-მინისტრ ჯავაჰარლალ ნერუს მიესალმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. დ. ჯავახიშვილი. იგი ამბობს: საბჭოთა კავშირსა და ინდოეთს აახლოებს ის, რომ ორივე ქვეყანა საარსებოდ დაინტერესებულია მთელი მსოფლიოს მშვიდობის უზრუნველყოფით.

გ. დ. ჯავახიშვილი რწმენას გამოთქვამს, რომ ჯავაჰარლალ ნერუს ჩამოსვლა საბჭოთა კავშირში ხელს შეუწყობს ორივე ქვეყნის მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას.

ჯავაჰარლალ ნერუმ მადლობა გადაუხადა შეკრებილთ გულთბილი მიღებისათვის.

— ყველგან, სადაც უნდა მივსულიყავი, — განაცხადა ჯავაჰარლალ ნერუმ, — გულღია და გულითად მიღებას ვხვდებოდი. ეს შეხვედრა ნებას მაძლევს განვიცადო ჩვენი ხალხისა და საბჭოთა კავშირის ხალხების ნათესაობის გრძნობა. მე ვფიქრობ, — განაგრძო ჯავაჰარლალ ნერუმ, — რომ მშვიდობა ყოველთვის იყო ძირითადი აუცილებლობა და განსაკუთრებით აუცილებელია ამჟამად.

დამსწრენი ხანგრძლივი ტაშით მიესალმებიან ჯავაჰარლალ ნერუს.

მთელ გზაში აეროდრომიდან ქალაქში ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს გულთბილად ხვდებოდა ათასობით ადამიანი.

ამავე დროს თბილისს ჩამოვიდა ინდოელ ჟურნალისტთა ჯგუფი, რომელიც სსრ კავშირში იმყოფება საკდესის მოწვევით. (საქდესი).

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. დ. ჯავახიშვილმა სადილი გამართა ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ ჯავაჰარლალ ნერუს პატივსაცემად

13 ივნისს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. დ. ჯავახიშვილმა სადილი გამართა ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის, საგარეო საქმეთა მინისტრ ჯავაჰარლალ ნერუს პატივსაცემად.

სადილზე იყვნენ ჯავაჰარლალ ნერუ, მისი ქალიშვილი ინდირა განდი, ინდოეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი ნ. რ. პილაი, ინდოეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის განყოფილების გამგე ა. ჰუსეინი, ინდოეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში კ. პ. შ. მენონი, სსრ კავშირში ინდოეთის რესპუბლიკის საელჩოს პირველი მდივანი პ. ნ. კაული.

სადილზე იყვნენ პრემიერ-მინისტრ ჯავაჰარლალ ნერუს თანმხლებნი — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ინდოეთის რესპუბლიკაში მ. ა. მენშიკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხრეთ აზიის განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი.

სადილზე იყვნენ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მჟავანაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი მ. ი. კუჭავა, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები მ. პ. გიორგაძე, ო. დ. გოცირიძე, დ. ვ. მჭედლიშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ვ. გ. ქერქაძე, დ. გ. მამაცაშვილი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. კ. მაღრაძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი ე. ა. სეხნიაშვილი, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე მ. მ. ლელაშვილი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ა. ლ. გუნია, ა. ნ. ინაური, თ. ბ. ჯანელიძე, მინისტრები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები.

სადილმა მეგობრულ, გულითად ვითარებაში ჩაიარა. (საქდესი).

## ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ ჯავაჰარლალ ნერუს ყოფნა საქართველოში

13 ივნისს ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ჯავაჰარლალ ნერუმ თავის ქალიშვილ ინდირა განდისა და მის თანმხლებ პირებთან ერთად იმგზავრა ქალაქ რუსთავს.

რუსთავის მშრომელებმა გულითადი მიღება მოუწყეს ჯავაჰარლალ ნერუს. ათასობით ადამიანი ყვავილების თაიგულებით გამოვიდნენ ქალაქის ქუჩებში, რომლებიც მორთული იყო ლოზუნგებით პრემიერ-მინისტრის პატივსაცემად. ისინი მხურვალედ მიესალმებოდნენ მეგობარი ინდოეთიდან ჩამოსულ სტუმარს.

ჯავაჰარლალ ნერუ რუსთავში გაეცნო სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მუშაობას. მან დაწვრილებით გამოჰკითხა ქარხნის დირექტორს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს ნ. გ. გომელაურს, თუ როგორია საწარმოს პროდუქცია, მისი აღჭურვა ტექნიკით, წარმოების მუშაკთა კადრების მომზადება.

ჯავაჰარლალ ნერუს ინტერესი ამ საწარმოსადმი შემთხვევითი როდია. როგორც ცნობილია, მალე ინდოეთში საბჭოთა სპეციალისტების დახმარებით დაიწყება მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა.

ჯავაჰარლალ ნერუმ დაათვალიერა მარტენის საამქრო. ბლუმინგის საამქროში იგი დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ბლუმინგის მართვის პულტთან უფროსი ოპერატორის მუშაობას. ამ დროს აქ წარმოებდა ბლუმსების გაგლინვა. ჯავაჰარლალ ნერუს აინტერესებდა საამქროს მძლავრი მოწყობილობა, რომელიც დამზადებულია საბჭოთა ქვეყნის ქარხნებში.

შემდეგ ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა დაათვალიერა ქარხნის მილსაგლინავი და კოქს-ქიმიური საამქროები.

ჯავაჰარლალ ნერუსთან და მის თანმხლებ პირებთან ერთად სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანას გაეცნენ ინდოელი ჟურნალისტებიც.

რუსთავიდან ჯავაჰარლალ ნერუ გაემართა დიღმის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში. საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა დ. ნ. ჯანჯღავამ უპასუხა პრემიერ-მინისტრისა და მისი ქალიშვილის ინდირა განდის მრავალ კითხვაზე. მათ, კერძოდ, აინტერესებდათ ვენახის მოვლა-დამუშავების აგროტექნიკა, მოსავლიანობა, ქარსაცავი ზოლების შექმნა, საბჭოთა მეურნეობის კადრები. სტუმრებს უამბეს, რომ საბჭოთა მეურნეობაში არის უნიკალური კოლექცია ვაზისა. აქ არის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ათასზე მეტი ჯიშის ვაზი.

საღამოს ჯავაჰარლალ ნერუ თავის ქალიშვილ ინდირა განდისთან და მის თანმხლებ პირებთან ერთად თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში დაესწრო სპექტაკლს — დ. თორაძის ბალეტს „გორდას“. ჯავაჰარლალ ნერუს დარბაზში მქუხარე, ხანგრძლივი ოვაციით შეხვდნენ.

გულთბილი მიღება, რაც ჯავაჰარლალ ნერუს საქართველოში მოუწყეს, მკაფიოდ გამოხატავს საბჭოთა ადამიანების უღრესი სიმპათიისა და პატივისცემის გრძნობას დიდი ინდოელი ხალხისადმი, რომელსაც თავისი წვლილი შეაქვს მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლაში.

თბილისის ჟურნალისტებმა სადილი გამართეს ინდოელ ჟურნალისტთა პატივსაცემად. (საქდესი).





ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ ჯავაჰარლალ ნერუს ყოფნა საქართველოში. სურათებზე: 1. (მარჯვნიდან მარცხნივ): გ. დ. ჯავახიშვილი, ჯავაჰარლალ ნერუ, ვ. პ. მჟავანაძე, ე. ა. სეხნიაშვილი, მ. მ. ლელაშვილი, მ. ი. კუჭავა და სხვები თბილისის აეროდრომზე. 2. ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ, თავის ქალიშვილ ინდირა განდისა და მის თანმხლებ პირებთან ერთად ათვალიერებენ რუსთავის სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანას.

ფოტო გ. ვახტანგაძისა და ვ. გინზბურგისა.

პარტიული ცხოვრება

# პარტიული ორგანიზაცია მეცხოველეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში

საზოგადოებრივ მეცხოველეობას მნიშვნელოვანი ხვედრითი წონა აქვს სამტრედიის რაიონის ძველი სამტრედიის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ეკონომიკაში. გასულ წელს კოლმეურნეებმა პირველი წარმატებები მოიპოვეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში. შარშან ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულზე მიიღეს 150,2 ცენტნერი რძე, 24 ცენტნერი ხორცი, ხოლო ყოველ 100 ჰექტარ მარცვლეული კულტურების ნათესზე — 3.000 ცალი კვერცხი. ამ წარმატებებში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციას (მდივანი ი. ხურცილავა).

პარტიული ორგანიზაცია სისტემატურად განიხილავს საზოგადოებრივი მეცხოველეობის ისეთ საკითხებს, როგორიც არის: ფერმების კეთილმოწყობა, მტკიცე საკვები ბაზის შექმნა, პირუტყვის მოვლა-პატრონობის გაუმჯობესება, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდება, ფერმების კადრებით განმტკიცება და სხვ.

გასულ წელს კოლმეურნეობამ გადაჭარბებით შეასრულა მეცხოველეობის სულადობისა და პროდუქტიულობის დაწესებული გეგმები. ზაფხულსა და შემოდგომაზე ისეთი რაოდენობით დაამზადეს საკვები, რაც უზრუნველყოფდა პირუტყვს მთელი წლის განმავლობაში. ამასთან ოქტომბერთან და ნოემბერთან შედარებით ძროხების წველადობა დეკემბერში 1.327 კილოგრამით გაიზარდა. გარეგნულად თითქოს ყველაფერი რიგზე იყო. მაგრამ საშუალო მაჩვენებლებს უკან სერიოზული ნაკლოვანებები იმალებოდა. ეს განსაკუთრებით იგრძნობოდა პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადების საქმეში. აღნიშნული გარემოება პარტიულ ორგანიზაციას ყურადღებიდან არ გამორჩა.

საკითხის ყოველმხრივ შესწავლის შემდეგ დეკემბერში პარტიულ კრებაზე პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადების თაობაზე მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმის გამგის ე. ქართველიშვილის მოხსენება მოისმინეს. საკითხის განხილვაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ი. მახარაძემ, მ. რევიშვილმა, გ. სტურუამ, ი. მელქაძემ, ი. ხურცილავამ და სხვებმა. კომუნისტებმა მკაცრად გააკრიტიკეს კოლმეურნეობის გამგეობა და მეცხოველეობის ფერმის მუშაკები. კერძოდ აღნიშნეს, რომ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სადგომის სახურავის შეკეთება და ფანჯრებში მინის ჩასმა ჭიანურდებოდა, შეკეთებას საჭიროებდა ბაგა. მოუწესრიგებელი იყო აღრიცხვა. მეღორეობის ფერმაში დოლფარები სრულიად უვარგისი იყო. ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით პარტიულმა კრებამ კონკრეტული ღონისძიებანი დასახა. მიღებული გადაწყვეტილების განხორციელებას სათავეში კომუნისტები ჩაუდგნენ.

პარტიული ორგანიზაციის მიერ განხორციელებულმა ღონისძიებებმა კარგი შედეგი გამოიღო. პირუტყვი სანიმუშოდ გამოაზამთრეს, ნამატი 100 პროცენტით შეინარჩუნეს. მოწესრიგდა აღრიცხვის საქმეც. ახლა აქ შემოღებული აქვთ „დედაპირუტყვის აღრიცხვის ჟურნალი", „მოზარდეულის გაზრდის წიგნი", „ჯიშიანი პირუტყვის აღრიცხვის უწყისი", „ვეტერინარული ჟურნალი". კარგად არის დაყენებული მიღებული პროდუქტებისა და საკვების აღრიცხვა.

ძველსამტრედიელ კოლმეურნეთა შორის ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილებამ „მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების შესახებ". იანვრის პლენუმის დადგენილებით დასახული ამოცანის განხორციელებას კოლმეურნეობაში სათავეში ჩაუდგა პარტიული ორგანიზაცია. პარტიული ორგანიზაციის საქმიან წინადადებებს მხარი დაუჭირა კოლმეურნეობის გამგეობამ და მისმა თავმჯდომარემ ი. მელქაძემ. ყველა მეწველი ძროხა ზაგურ კვებაზე გადაიყვანეს, შემოღებულ იქნა ძროხების დღეში 3-ჯერ წველა. ძროხების მოვლა-შენახვასა და წველაზე დაწესდა ყოველდღიური კონტროლი. დაგეგმილია წველადობა. თვითეულ მწველავს აქვს წველადობის წლიური გეგმა-დავალება მისთვის მოსავლელად მიჩენილი ძროხების მთელ ჯგუფზე და ცალ-ცალკე თვითეულ ძროხაზე. წლიური დავალება დაყოფილია თვიურ დავალებად, ხოლო თვიური — სადღეღამისო დავალებად. ყოველივე ამის შედეგად საგრძნობლად გადიდდა ძროხების პროდუქტიულობა. მაგალითად, მიმდინარე წლის მარტსა და აპრილში აქ 5.502 კილოგრამით მეტი რძე მიიღეს, ვიდრე იანვარსა და თებერვალში.

აპრილში პარტიულ კრებაზე მეცხოველეობის პროდუქტიულობის გეგმების შესრულების შესახებ იმსჯელეს. გამოირკვა, რომ მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიღებული იყო 533 კილოგრამი რძე, რაც მნიშვნელოვნად აღემატება გასული წლის იმავე პერიოდში მიღებულ რძის რაოდენობას. ამავე კრებაზე კომუნისტებმა გააკრიტიკეს კოლმეურნეობის გამგეობა და მეღორეობის ფერმის ხელმძღვანელობა. სამეურნეო წლის განვლილ პერიოდში მიღებულია მხოლოდ 230 გოჭი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 480 გოჭისა. მეღორეობის ფერმაში ყველაფერი რიგზე არ არის ნამატის შენარჩუნების საქმეშიც.

პარტიულმა ორგანიზაციამ უკანასკნელ ხანს მეცხოველეობის ფერმებში გაგზავნა საქმისმცოდნე და შრომისმოყვარე კოლმეურნე კომუნისტები ნ. რევიშვილი და ა. გელაშვილი. ახლა პარტიულ ორგანიზაციაში გაერთიანებული 36 კომუნისტიდან 7 მუშაობს მეცხოველეობის ფერმებში. ისინი კეთილსინდისიერად ასრულებენ მინდობილ საქმეს.

კოლმეურნეობის პარტორგანიზაცია სერიოზულ მუშაობას ეწევა მოწინავე მეცხოველეთა მუშაობის გამოცდილების დანერგვისა და გავრცელებისათვის. ამას წინათ პარტბიურომ მოაწყო კოლმეურნეობის მოწინავე მწველავის ე. მუქერიას შეხვედრა მეცხოველეობის ფერმების მუშაკებთან.

მეცხოველეობის შემდგომი განვითარების მისაღწევად გაჩაღებულ კოლმეურნეთა შემოქმედებითს შრომას სათავეში უდგას პარტიული ორგანიზაცია.

**ვ. კოპალეიშვილი,**
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.



თბილისის კალინინის სახელობის მექანიკურმა ქარხანამ საცდელად დაამზადა პირუტყვის საკვების საკუწავი მანქანა. **სურათზე:** ამწყობ-მექანიკური საამქროს ზეინკალთა ბრიგადირი ვ. ლატარია (მარჯვნივ) და ზეინკალი ვ. ამბარცუმიანი ამოწმებენ საკვების საკუწავი მანქანის მუშაობას.
ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## საწარმოო ქრონიკა

(„კომუნისტის" კორესპონდენტებისაგან).

⊙ **რკინიგზელის საკავშირო დღის** აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას ხაშურის სავაგონო დეპოს კოლექტივმა იკისრა მეხუთე ხუთწლედის შესრულება ყველა მაჩვენებლის მიხედვით 1 აგვისტოსათვის.

⊙ **ქალაქ გორის წყალსადენის** კანტორის კოლექტივს პირველ კვარტალში კარგი მუშაობისათვის მიეკუთვნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი პრემია.

⊙ **სტალინის სახელობის ბათუმის** ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის იმ მოწინავე მუშებს, რომლებმაც პროფესიათა მიხედვით საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვეს, ამას წინათ საზეიმო ვითარებაში გადაეცათ სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობის სამინისტროსა და ნავთობის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის სიგელები.

⊙ **ზაჰესის ენერგეტიკოსებმა** მაისში ელექტროენერგიის გამომუშავების გეგმა ორი დღით ადრე შეასრულეს და თვიური დავალების გადამეტებით რამდენიმე მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია მისცეს სახალხო მეურნეობას.

⊙ **მახარაძის ფაიფურის ქარხნის** კოლექტივმა ნახევარი წლის გეგმა ვადაზე ადრე გაანაღდა და იკისრა წლიური გეგმის 130 პროცენტით შესრულება.

⊙ **ტყიბულქვანახშირის ტრესტის** ლენინის სახელობის შახტში მოახდინეს ამავალ გამონამუშევართა გამყვანი საბურღავი მექანიზმის მოდერნიზაცია და აამუშავეს იგი. ეს მექანიზმი ხუთჯერ აჩქარებს სამთო გამონამუშევართა გაყვანას.

# საკოლმეურნეო შრომის ბარაქა

ოც წელზე მეტია, რაც ჩვენს კოლმეურნეობაში თეთრი მსხვილი ჯიშის ღორის ფერმა არსებობს. ამ ხნის მანძილზე ფერმის მუშაკები პირუტყვის მოვლა-პატრონობაში დახელოვნდნენ, გოჭების მიღება-გაზრდის მაჩვენებლებს ყოველწლიურად ამრავლებენ.

1953 წელს თვითეულ დედაღორზე 19,8 გოჭი გავზარდეთ. ამით გასულ წელს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეობის უფლება მოვიპოვეთ. მთავარმა საგამოფენო კომიტეტმა ფერმა კინოდანადგარით დააჯილდოვა, მე კი ვერცხლის პატარა მედალი მომაკუთვნა. გამოფენაზე მოწინავე მეღორეთა გამოცდილებას დაწვრილებით გავეცანი. ადგილზე დაბრუნებისთანავე მისი პრაქტიკაში დანერგვა დავიწყე.

გასულ წელს თვითეულ დედაღორზე საშუალოდ 20,6 გოჭი გავზარდეთ. ამრიგად, წელს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე უკეთესი მაჩვენებლებით წარვდგებით, მაგრამ მიღწეული არ გვაკმაყოფილებს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილების გაცნობისას თვითეულ დედაღორზე 22 გოჭის გაზრდა ვიკისრეთ. პირობის გასანაღდებლად მწყემსები მონდომებით მუშაობენ.

ივანე იაკაშვილი, რომელიც 18 წელია ფერმაში მუშაობს, რვა დედაღორს პატრონობს. წელს მან უკვე 81 გოჭი გაზარდა. წლის ბოლომდე კიდევ მიიღებს და გაზრდის ასზე მეტ გოჭს. იაკაშვილი ყველაზე მეტად დედაღორ „ხიმერას" ემადლიერება. ამ უკანასკნელმა შარშან ოცი გოჭი შემატა ფერმას. დედაღორმა „ბეატრისამ" წელს 14 გოჭი მოიგო. მისგან ერთ ამდენს კიდევ მოელიან.

ამ წარმატებებს ენერგიული და დაკვირვებული მუშაობით ვაღწევთ.

დაგრილების წინ დედაღორი არც გამხდარი უნდა იყოს, არც გასუქებული, რადგან ორივე შემთხვევაში მისგან ნაკლები რაოდენობით მივიღებთ გოჭებს.

ღორების დაგრილებას ვაწარმოებთ წინასწარ შერჩეული, სავსებით ჯანმრთელი მწარმოებლით. სალი შთამომავლობის მიღებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დედაღორების ნორმალურ კვებას, რაციონის მრავალფეროვნებას. ღორებს საკმაო რაოდენობით ვაძლევთ კონცენტრირებულ საკვებს, საზამთროს, გოგრას, ჭარხალს, მიწავაშლას, უზრუნველვყოფთ მწვანე ბალახით.

დაგოჭიანებამდე რამდენიმე დღით ადრე სალორეს გულდასმით ვასუფთავებთ, ვახდენთ ფიცრის იატაკის დეზინფექციას. ზაფხულობით, მშობიარობის დაწყებამდე 2-3 დღით ადრე, დედაღორებს ვბანთ, ზამთარში კი ვწმენდთ სველი ტილოთი. ახლადშობილ გოჭებს ცხვირის არეს ვუსუფთავებთ, ვაცლით ლორწოს, რათა სუნთქვა არ გაუჭირდეთ. დედაღორს ვუკეთებთ ცურის მასაჟს, ვასმევთ თბილ წყალს და ვიწყებთ გოჭების წოვებას. ზოგჯერ ღორი იმაზე მეტს იგებს, რაც მას ძუძუები აქვს. ასეთ შემთხვევაში ვახდენთ გოჭების „გაძიძავებას". პირველი სამი დღის განმავლობაში გოჭებს ყოველ 1-2 საათში ვაწოვებთ. სამი დღის შემდეგ გოჭები გადაგვყავს სპეციალურ ადგილას, სადაც ისინი ნებისმიერად წოვენ.

ერთი კვირის ასაკის გოჭებს დამატებით საკვებად ვაძლევთ ცარცს, ძვლის ან ნახშირის ფხვნილს. შედარებით სუსტ გოჭებს ამასთან ერთად ვაძლევთ ძროხის რძეს, თვითეულს 50-100 გრამის ოდენობით. ორი კვირის შემდეგ გოჭების კვების რაციონში შეგვაქვს მოხალული ქერის მარცვალი. იგი ხელს უწყობს სანერწყვე ჯირკვლებისა და სალეჭი კუნთების განვითარებას. ასხლეტამდე გოჭებს დამატებით ვკვებავთ დღეში სამჯერ.

მეტად მნიშვნელოვანია გოჭების ასხლეტის სწორი ორგანიზაცია. ასხლეტის პერიოდი ხუთ დღეს გრძელდება. პირველ დღეს გოჭებს მხოლოდ ორჯერ ვუშვებთ დედასთან, მეორე დღეს — სამჯერ. მეხუთე დღეს გოჭებს მთლიანად ვაცილებთ ღორებს და გადაგვყავს ცალკე ადგილას.

მეღორეობა ჩვენი კოლმეურნეობის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროდ გადაიქცა. გასულ წელს ამ დარგიდან მიღებულმა შემოსავალმა მთელი მეცხოველეობიდან მიღებული ფულადი შემოსავლის 43 პროცენტი შეადგინა.

მეღორეობიდან წელს მეტ შემოსავალს მივიღებთ, რადგან სახელმწიფოსათვის ღორის ხორცის ჩაბარების ოდენობას ვადიდებთ. წელს პირველი ერთი ტონა ხორცი ჩავაბარეთ. ათ ღორს ახლა ვასუქებთ, ოცს შემოდგომაზე გავასუქებთ.

ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ღორის ხორცის წარმოება მკვეთრად ავამაღლოთ. ამ საქმეში დიდ დახმარებას გაგვიწევს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მიღებული გამოცდილება.

**ი. მელიქოვი,**
თელავის რაიონის სოფელ ხაიორის კოლმეურნეობა „პირველი მაისის" მეღორეობის ფერმის გამგე.

# მისასალმებელი დეპეშები ამხანაგ ნ. ა. ბულგანინის დაბადების სამოცი წლისთავის გამო

## ამხანაგ ნ. ა. ბულგანინს

თქვენი დაბადების სამოცი წლისთავის გამო ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალე ძმურ მოლოცვას გითვლით თქვენ, დიდი ლენინის მოწაფესა და ლენინის საქმის განმგრძობს — ამხანაგ სტალინის ერთ-ერთ უახლოეს თანამებრძოლს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ერთ-ერთ გამოჩენილ ხელმძღვანელს, ჩინელი ხალხის საყვარელ და პატივცემულ მეგობარს.

სულით და გულით გისურვებთ ჯანმრთელობას, აგრეთვე ახალ წარმატებებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის და მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში.

**ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი**

1955 წლის 8 ივნისი, პეკინი.

## საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

ძვირფასო ამხანაგო ნ. ა. ბულგანინ!

თქვენი დაბადების სამოცი წლისთავის დღეს ნება მიბოძეთ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა და ხალხის სახელით და პირადად ჩემი სახელით გულითადად მხურვალედ მოგილოცოთ თქვენ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთ გამოჩენილ მოღვაწესა და ხელმძღვანელს, ჩინელი ხალხის ახლო მეგობარს.

მთელი თქვენი ენერგიით და პოლიტიკური, სამეურნეო და სამხედრო მოღვაწეობის მდიდარი გამოცდილებით თქვენ თვალსაჩინო წვლილი შეიტანეთ საბჭოთა კავშირში კომუნისტური მშენებლობის საქმეში, მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და კაცობრიობის პროგრესის საქმეში. გისურვებთ ჯანმრთელობას, მრავალ წელს სიცოცხლეს და კიდევ უფრო მეტ წარმატებებს თქვენს მოღვაწეობაში საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ და საბჭოთა სახელმწიფოს აყვავებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისათვის.

**ჟოუ ენ-ლაი**

1955 წლის 8 ივნისი, პეკინი.

დეპეშა ვარშავიდან, 1955 წლის 9 ივნისი

მოსკოვი

## საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბულგანინს

დიდად პატივცემულო და ძვირფასო ამხანაგო ბულგანინ!

თქვენი დაბადების მე-60 წლისთავზე პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით უაღრესად გულითადად მოგილოცავთ და მხურვალე ძმურ სურვილებს გითვლით.

თქვენი სახით პოლონელი ხალხი მიესალმება თავის ახლო და ერთგულ მეგობარს, რომელიც ჰიტლერული მონობისაგან პოლონეთის განთავისუფლების პირველი მომენტიდან, პოლონეთში თქვენი ყოფნის სამახსოვრო დროიდან, არ იშურებდით ძალღონეს ჩვენს ხალხებს შორის მეგობრობის განმტკიცების კეთილშობილურ საქმეში და პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ყოველმხრივი თანამშრომლობის განვითარებაში, რაც სახალხო პოლონეთის ძლიერებისა და კეთილდღეობის მტკიცე საძირკველია, აგრეთვე დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც განამტკიცებს მშვიდობისა და სოციალიზმის ბანაკის დარაზმულობას.

მშვიდობის, კოლექტიური უშიშროებისა და ხალხთა დამოუკიდებლობის პოლიტიკა, რომელიც საბჭოთა კავშირის მთავრობამ და კომუნისტურმა პარტიამ დასახეს და რომელიც ხორციელდება თქვენი შემოქმედებითი მონაწილეობით, მთელი მსოფლიოს ხალხთა იმ რწმენის წყარო და საფუძველია, რომ თავიდან იქნება აცილებული ახალი ომის საფრთხე, განმტკიცდება საერთაშორისო თანაარსებობა, უზრუნველყოფილი იქნება კაცობრიობის უკეთესი მომავალი.

თქვენი დაბადების მე-60 წლისთავის გამო ჩვენი პარტიისა და მთავრობის სახელით სულით და გულით გისურვებთ ჯანმრთელობას, მრავალ წელს სიცოცხლეს და შემდგომ ნაყოფიერ მუშაობას საბჭოთა კავშირის ხალხთა საკეთილდღეოდ, სოციალიზმისა და მშვიდობის ჩვენი საერთო საქმის საკეთილდღეოდ.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი
**ბოლესლავ ბერუტი**

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
**იუზეფ ცირანკევიჩი**

დეპეშა ბუქარესტიდან, 1955 წლის 11 ივნისი

მოსკოვი

## საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბულგანინს

ძვირფასო ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძევ!

რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმი მხურვალედ მოგილოცავენ თქვენ, ლენინის ერთგულ მოწაფესა და სტალინის თანამებრძოლს, თქვენი დაბადების სამოცი წლისთავის შესრულებას.

სულით და გულით გისურვებთ ჯანმრთელობას და ძალღონეს დიდი საბჭოთა კავშირის აყვავებისა და კეთილდღეობისათვის, ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის გამარჯვებისათვის სამუშაოდ.

გაუმარჯოს რუმინელი ხალხისა და დიდი საბჭოთა ხალხის მარადიულ მეგობრობას!

**რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი**
**რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო**
**რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმი**

ბუდაპეშტიდან 10-6 — 55 წ.

## საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ნ. ა. ბულგანინს

თქვენი დაბადების სამოცი წლისთავის გამო უნგრელი ხალხის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს და უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით გულითადად მოგესალმებით თქვენ, საბჭოთა ხალხის ერთგულ შვილს, დიდი ლენინის მოწაფეს, სტალინის ერთ-ერთ უახლოეს თანამებრძოლს, საბჭოთა კავშირის სახელოვანი კომუნისტური პარტიის ერთ-ერთ ნაცად ხელმძღვანელს და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს.

უნგრელი ხალხი თქვენი სახით, ამხანაგო თავმჯდომარევ, მიესალმება იმ მეგობარი ქვეყნისა და იმ მოძმე ხალხის შესანიშნავ სახელმწიფო მოღვაწეს, რომელმაც თავისუფლება და დამოუკიდებლობა მოუტანა ჩვენს მრავალტანჯულ და საუკუნეობით დამონებულ ხალხს და რომელსაც უკანასკნელი ათეული წლის მანძილზე არაერთხელ გაუწევია მისთვის სულ სხვადასხვა ფორმით უანგარო დახმარება ბედნიერი მომავლის, სოციალიზმის მშენებლობაში.

ჩვენ მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ ურღვევი მეგობრობა და მჭიდრო კავშირი, რაც ამ წლების განმავლობაში დამყარდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკასა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს შორის და შემდგომ განვითარდა იმ დროის მანძილზე, რაც თქვენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე იმყოფებით, მომავალში კიდევ უფრო გაღრმავდება და განმტკიცდება.

სულით და გულით გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგო ბულგანინ, მრავალ წელს იშრომოთ ჯანმრთელმა და ძალღონით აღსავსემ კომუნიზმის მშენებლობისათვის, თქვენი სახელოვანი საბჭოთა სამშობლოს კეთილდღეობისათვის, ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის დასაცავად, ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარებისათვის დიდი საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხთა და მშვიდობის გულწრფელად მოსურნე ყველა ხალხის საკეთილდღეოდ.

**იშტვან დობი**
უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარე

**ანდრაშ ჰეგედიუში**
უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

**მატიას რაკოში**
უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ა. ბულგანინს

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, გამოხატავს რა საფრანგეთის მუშათა კლასისა და საფრანგეთის თავისუფლებისმოყვარე და მშვიდობისმოყვარე მშრომელთა მასების გრძნობებს, მხურვალედ მოგილოცავთ თქვენი დაბადების სამოცი წლისთავის დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას ხალხთა დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად, მშვიდობისა და კომუნიზმის მშენებლობის საქმის საკეთილდღეოდ.

**საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი**

დეპეშა ულან-ბატორიდან 10-6 — 55 წ.

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ნ. ა. ბულგანინს

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო და მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტი თქვენი დაბადების სამოცი წლისთავის დღეს მხურვალე ძმურ სალამსა და გულითად მოლოცვას გითვლიან თქვენ, ლენინის ერთგულ მოწაფესა და სტალინის თანამებრძოლს, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწეს. მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს თქვენ მიაჩნიხართ თავიანთ გულწრფელ მეგობრად, დაუცხრომელ მებრძოლად კომუნიზმის დიადი საქმის გამარჯვებისათვის, მგზნებარე მებრძოლად ხალხთა შორის მეგობრობისა და მშვიდობისათვის.

სულით და გულით გისურვებთ, ძვირფასო ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძევ, ჯანმრთელობასა და მრავალ წელს სიცოცხლეს და შემდგომ ნაყოფიერ მოღვაწეობას დიდი საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ, რომელიც წარმატებით აშენებს კომუნისტურ საზოგადოებას თავის ქვეყანაში, მონღოლი და საბჭოთა ხალხების ურღვევი ტრადიციული ძმური მეგობრობის საკეთილდღეოდ.

**მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმი**
**მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო**
**მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტი**

დეპეშა სოფიიდან

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბულგანინს

მოსკოვი

თქვენი დაბადების სამოცი წლისთავის გამო გთხოვთ, ამხანაგო თავმჯდომარევ, მიიღოთ ბულგარელი ხალხის, მისი მთავრობის სახელით და პირადად ჩემი სახელით გულითადი სალამი.

ბედნიერი ვართ მოგესალმოთ თქვენ, ამხანაგო ბულგანინ, როგორც ერთგულ ლენინელს, საბჭოთა კავშირის სახელოვანი კომუნისტური პარტიისა და დიდი საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთ გამოჩენილ მოღვაწეს, სულით და გულით გისურვებთ ჯანმრთელობას და მრავალ წელს ნაყოფიერ მუშაობას კომუნიზმის, მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების საქმის საკეთილდღეოდ.

ძმურად გართმევთ ხელს.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ჩერვენკოვი**

# ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ სტალინგრადში

სტალინგრადი, 11 ივნისი. (საქდესი). დღეს სტალინგრადში ჩამოვიდა ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ბ-ნი ჯავაჰარლალ ნერუ, რომელიც ეწვია მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს ს. ი. შაპუროვს და საუბარი ჰქონდა მასთან. ს. შაპუროვმა უამბო პრემიერ-მინისტრს, თუ როგორ მიმდინარეობს სტალინგრადის მშენებლობა. ჯ. ნერუმ დიდი ინტერესი გამოიჩინა ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხისა და სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურის აგებისადმი. საუბარში მონაწილეობა მიიღეს თანმხლებმა პირებმა, აგრეთვე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სტალინგრადის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ქ. ს. ნეკრასოვმა, საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეებმა ა. ი. ჟდანიუკმა და სომოვამ, სატრაქტორო ქარხნის დირექტორმა ი. ფ. სინიცინმა, სტალინგრადჰიდრომშენის უფროსმა ი. ი. გაევსკიმ.

ამის შემდეგ ჯ. ნერუ და მისი თანმხლები პირები წავიდნენ სტალინის სახელობის ცარიცინ-სტალინგრადის თავდაცვის მუზეუმში. მუზეუმის შესასვლელთან სტუმრებს მხურვალედ მიესალმნენ სტალინგრადის მცხოვრებნი. ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა დაათვალიერა მუზეუმის ექსპონატები, მათ შორის უცხოელთა დელეგაციების საჩუქარი, რომელთა შორის არის ინდოეთის საჩუქრებიც.

შთაბეჭდილებათა წიგნში ჯავაჰარლალ ნერუმ ჩაწერა: „აქ მოვედი, რათა გამოვხატო ჩემი მეცა დაუმორჩილებელი და გმირული სტალინგრადისათვის".

შემდეგ ჯ. ნერუ იყო მამაის ყორღანზე. უპასუხა რა პრემიერ-მინისტრის კითხვებზე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სტალინგრადის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. ტ. გრიშინმა აღნიშნა, თუ რა გააფთრებული ბრძოლები იყო ამ მაღლობისათვის. მამაის ყორღნის მწვერვალზე ჯავაჰარლალ ნერუმ გვირგვინით შეამკო სტალინგრადის დაღუპულ გმირთა საფლავი.

გემ „ბორის გორბატოვით" ჯ. ნერუ ჩავიდა სტალინგრადის ჰიდროკვანძის ძირითად სამშენებლო სამუშაოთა რაიონში. მშენებლობის უფროსმა ი. ი. გაევსკიმ გააცნო სტუმრებს მშენებლობის ინჟინერ-ტექნიკური გეგმა, უამბო სამშენებლო სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ და უპასუხა მთელ რიგ კითხვებზე. ნერუ დაინტერესდა მიწისა და ბეტონის სამუშაოთა მოცულობით, იმით, თუ რამდენად შეიცვლება ვოლგის ზემო ბიეფი კაშხალის აშენების შემდეგ, ცალკეული ნაგებობებით, რომლებიც შედის ჰიდროკვანძის სისტემაში. მისი ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრო ვოლგის კიდული საბაგირო გზის მუშაობამ.

შემდეგ ჯ. ნერუ ჩავიდა ჰიდროელექტროსადგურის მომავალი შენობის ქვაბულში, სადაც გაეცნო ელექტროსადგურის საძირკველში ბეტონის ჩასხმის სამუშაოებს.

ვოლგის სადგურის მშენებლები მხურვალედ მიესალმნენ ინდოეთის პრემიერ-მინისტრს და მიართვეს მას ჰიდროსადგურის მშენებლობაზე გაკეთებული ფოტოსურათების ალბომი.

სტუმრები იყვნენ აგრეთვე სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანაში, სადაც გაეცნენ ტრაქტორების გამოშვების პროცესს. მათ უყურეს დიდი კონვეიერის მუშაობას, რომელზეც ტრაქტორებს აწყობენ. საამქროებში მუშები გულთბილად მიესალმნენ ჯ. ნერუს. გამოთხოვებისას პრემიერ-მინისტრმა მადლობა გადაუხადა მათ გულთბილი მიღებისათვის.

მუზეუმის, ქალაქის ისტორიული ადგილების, სატრაქტორო ქარხნისა და სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დათვალიერების დროს ჯავაჰარლალ ნერუს თან ახლდა ინდოელ ჟურნალისტთა ჯგუფი.

# სტალინგრადიდან გაემგზავრა ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ

სტალინგრადი, 12 ივნისი. (საქდესი). დღეს დილით ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ და მისი თანმხლები პირები სტალინგრადიდან სიმფეროპოლს გაემგზავრნენ.

ინდოეთის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ აეროდრომზე სტუმრები გააცილეს სტალინგრადის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ს. შაპუროვმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სტალინგრადის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. გრიშინმა, მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ი. პანკინმა, ქალაქის საზოგადოებრიობისა და პრესის წარმომადგენლებმა.

გრიშინმა და შაპუროვმა სტალინგრადელთა სახელით მიართვეს ნერუს ფოტოალბომი, მიძღვნილი ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხისადმი, ფოტოალბომი სტალინგრადში ნერუს ყოფნის შესახებ და კოლოფი მამაის ყორღნის წმიდა მიწით.

გამგზავრების წინ ჯავაჰარლალ ნერუმ სიტყვა წარმოთქვა მიკროფონთან და გულითადი მადლობა გადაუხადა შეკრებილთ გულთბილი მეგობრული მიღებისათვის. ნერუმ განაცხადა, რომ მიუხედავად საბჭოთა კავშირში მოკლე ხნით ყოფნისა, მან კარგად გაიგო, თუ რა სიყვარულითა და პატივისცემით ეპყრობა საბჭოთა ხალხი ინდოელ ხალხს.

ამავე დროს სიმფეროპოლში გაფრინდა ინდოელ ჟურნალისტთა ჯგუფი, რომელიც ნერუს ახლავს საბჭოთა კავშირში მისი მოგზაურობის დროს.

# ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ ყირიმში ჩავიდა

სიმფეროპოლი, 12 ივნისი. (საქდესი). დღეს სტალინგრადიდან ყირიმში ჩამოვიდა ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება. მასთან ერთად ჩამოვიდნენ მისი ქალიშვილი ინდირა განდი, ინდოეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი ნ. რ. პილაი, ინდოეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის განყოფილების გამგე ა. ჰუსეინი, ინდოეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში კ. პ. შ. მენონი და სსრ კავშირში ინდოეთის რესპუბლიკის საელჩოს პირველი მდივანი პ. ნ. კაული.

პრემიერ-მინისტრს ჯავაჰარლალ ნერუს თან ახლავან სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ინდოეთის რესპუბლიკაში მ. ა. მენშიკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი.

ინდოეთის რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ აეროდრომზე ჯავაჰარლალ ნერუს და მის თანმხლებ პირებს შეხვდნენ უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ტ. კალჩენკო, უკრაინის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ს. ა. სლიპჩენკო, ყირიმის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. გ. კუზმენკო, უკრაინის კომუნისტური პარტიის ყირიმის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი დ. ს. პოლიანსკი, სიმფეროპოლის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე ნ. ნ. კატკოვი და საზოგადოებრიობისა და პრესის მრავალი წარმომადგენელი.

საბჭოთა უკრაინის მთავრობისა და მშრომელთა სახელით ინდოეთის პრემიერ-მინისტრს გულითადად მიესალმა უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ტ. კალჩენკო. ბავშვებმა პრემიერ-მინისტრს ნერუს და მის ქალიშვილს ინდირა განდის ყვავილების თაიგულები მიართვეს. ორკესტრმა შეასრულა ინდოეთის რესპუბლიკის, სსრ კავშირისა და უკრაინის სსრ ჰიმნები.

აეროდრომიდან ქალაქში მიმავალ სტუმრებს გულთბილად ესალმებოდნენ სიმფეროპოლის მცხოვრებნი.

დღეს ყირიმში აგრეთვე ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში მყოფ ინდოელ ჟურნალისტთა ჯგუფი. ამავე დღეს პრემიერ-მინისტრი ნერუ და მისი თანმხლები პირები გაემგზავრნენ ყირიმის სამხრეთ ნაპირზე.

# უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ტ. კალჩენკომ სადილი გამართა ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ჯავაჰარლალ ნერუს პატივსაცემად

იალტა, 12 ივნისი. (საქდესი). 12 ივნისს უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ტ. კალჩენკომ სადილი გამართა ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ჯავაჰარლალ ნერუს პატივსაცემად, რომელიც ყირიმში იმყოფება.

სადილზე იყვნენ ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ, მისი ქალიშვილი ინდირა განდი, ინდოეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი ნ. რ. პილაი, ინდოეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის განყოფილების გამგე ა. ჰუსეინი, ინდოეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში კ. პ. შ. მენონი.

სადილზე იყვნენ აგრეთვე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ინდოეთის რესპუბლიკაში მ. ა. მენშიკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი, ყირიმის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. გ. კუზმენკო, უკრაინის კომპარტიის ყირიმის საოლქო კომიტეტის მდივანი დ. ს. პოლიანსკი, იალტის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ა. მ. ტარასოვი.

სადილმა მეგობრულ გულითად ვითარებაში ჩაიარა.



ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ჯავაჰარლალ ნერუმ ინახულა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. **სურათზე:** ჯავაჰარლალ ნერუ, სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების მინისტრი ი. ა. ბენედიქტოვი და გამოფენის დირექტორი აკადემიკოსი ნ. ვ. ციცინი გამოფენის ტერიტორიაზე.

ფოტო ვ. სავოსტიანოვისა და ვ. შაროვსკისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

# ჯავაჰარლალ ნერუ ყირიმში

სიმფეროპოლი, 12 ივნისი. (საქდესი). სიმფეროპოლიდან ყირიმის სამხრეთ ნაპირზე მიმავალ პრემიერ-მინისტრს ნერუს და მის თანმხლებ პირებს მხურვალედ მიესალმნენ სიმფეროპოლის გარეუბნის, სოფლების პერევალნოეს, ლუჩისტოეს, კუტუზოვსკისა და სხვა დასახლებული პუნქტების მცხოვრებნი, რომლებიც თაიგულებით შეხვდნენ მათ.

საკურორტო ქალაქ ალუშტაში ნერუსა და მის თანმხლებ პირებს შეხვდნენ სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების დამსვენებლები. ალუშტიდან სტუმრები იახტა „ანგარით" გაემგზავრნენ ყირიმის სამხრეთ ნაპირის გაყოლებით. გზაზე იახტას მიუახლოვდა პიონერთა სრულიად საკავშირო ბანაკ „არტეკის" კატერი. კატერიდან გაისმა ბავშვთა ერთსულოვანი შეძახილი: „პრემიერ-მინისტრო ნერუ, გთხოვთ მობრძანდეთ არტეკში!".

იახტა ნაპირს უახლოვდება. ათასზე მეტი მხიარული, მზეზე გარუჯული ბავშვი გამოვიდა ყვავილებით მორთულ სანაპიროზე. არტეკის ბავშვთა ორკესტრი ასრულებს პიონერულ მარშს და კვლავ გაისმის ბავშვთა ხმები: „სალამი ნერუს!", „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ძვირფასო სტუმრებო!".

ბავშვებით გარშემორტყმული ნერუ და მისი თანმხლები პირები მიდიან ბანაკის ცენტრალურ მოედანზე.

„არტეკის" ყველაზე ნორჩი პიონერი წითელ პიონერულ ყელსახვევს უკეთებს ნერუს. ჯავაჰარლალ ნერუმ სანდალის ხის ჯოხი აჩუქა „არტეკის" პიონერებს. ბავშვებმა ნერუს მიართვეს დიდი მხატვრული ტილო, რომელზეც გამოსახულია არტეკი, ხოლო მის ქალიშვილს ინდირა განდის თავზე დაადგეს ვარდის გვირგვინი.

ჯავაჰარლალ ნერუმ მადლობა გადაუხადა პიონერებს გულითადი მიღებისათვის.

— ეს-ეს არის, — თქვა მან, — ბურიატმონღოლეთიდან ჩამოსულმა გოგონამ მკითხა, მომწონს თუ არა აქაურობა. მე ვუპასუხე, რომ ძალიან მომწონს საბჭოთა ხალხი და განსაკუთრებით მომწონს საბჭოთა კავშირის ბავშვები.

მე ყოველთვის მეხსომება ეს შეხვედრა და თქვენს სალამს გადავცემ ინდოეთის ბავშვებს; იმედი მაქვს, როცა თქვენ გაიზრდებით და ინდოეთის ბავშვებიც გაიზრდებიან, თქვენ ერთმანეთთან ითანამშრომლებთ.

ბანაკის დათვალიერების შემდეგ ჯავაჰარლალ ნერუმ ბანაკის საპატიო სტუმართა წიგნში ჩაწერა:

„დიდად მოხარული ვარ, რომ ვნახე ეს მშვენიერი პიონერთა ბანაკი. მე მიყვარს ყველა აქ მყოფი პიონერი".

ჯავაჰარლალ ნერუ და მისი თანმხლები პირები „ანგარაზე" ბრუნდებიან. ხომალდი ნაპირს მოშორდა და კიდევ დიდხანს ისმის ბავშვების მისალმებანი.

ხომალდი განაგრძობს გზას ყირიმის სამხრეთი ნაპირის გაყოლებით, ხომალდი დღესვე ჩავიდა იალტაში.

* * *

იალტა, 12 ივნისი. (საქდესი). დღეს პრემიერ-მინისტრი ნერუ, მისი ქალიშვილი ინდირა განდი და მისი თანმხლები პირები გაეცნენ ყირიმის სამხრეთი სანაპიროს ერთ-ერთ დიდ პროფკავშირულ ჯანმრთელობის კერას — ლივადიას.

პრემიერ-მინისტრის ყურადღება მიიპყრო დარბაზმა, სადაც გაიმართა იალტის ისტორიული კონფერენცია. შემდეგ სტუმრებმა დაათვალიერეს სასახლის მთავარი კორპუსი და ესაუბრნენ დამსვენებლებს, რომლებიც აქ დასასვენებლად ჩამოვიდნენ მოსკოვიდან, ციმბირიდან, მოლდავეთიდან, თურქმენეთიდან.

ლივადიიდან სტუმრები გაემგზავრნენ მისხორს, სადაც ნახეს სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს სანატორიუმი „კურპატი". მისხორის დათვალიერება დამთავრდა იმით, რომ სტუმრები ეწვივნენ სატყეო მრეწველობის მუშათა ჯანმრთელობის კერა-სასახლეს.

ამავე დროს ყირიმის სამხრეთი ნაპირის კურორტებს ეცნობოდნენ ინდოელი ჟურნალისტებიც, რომელნიც აქ იმყოფებიან.

# ინდოეთის თანამდებობის პირთა და სპეციალისტთა დელეგაცია საბჭოთა კავშირში

ივნისის დამდეგს მოსკოვში ჩამოვიდა ინდოეთის თანამდებობის პირთა და სპეციალისტთა დელეგაცია, რათა გასცნობოდა საბჭოთა კავშირში საწარმოებს, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებს და სასწავლებლებს, რომლებშიც ინდოელ სპეციალისტებს შეეძლებათ აიმაღლონ კვალიფიკაცია და გაიარონ საწარმოო პრაქტიკა. ეს ღონისძიება ხორციელდება იმ ტექნიკური დახმარების პროგრამის ფარგლებში, რომელიც სუსტად განვითარებულ ქვეყნებს უნდა გაეწიოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეშვეობით და რომლის განხორციელებაშიც მონაწილეობენ სსრ კავშირი, უკრაინის სსრ და ბელორუსიის სსრ.

დელეგაციას მეთაურობს ინდოეთის ირიგაციისა და ენერგეტიკის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე კანვარ სენი. დელეგაციაში შედიან: ბუნებრივი რესურსებისა და მეცნიერული კვლევის სამინისტროს საშთო სამმართველოს დირექტორი ვასანტ რაო ქველკერი, სამოქალაქო ავიაციის დეპარტამენტის გენერალური დირექტორის მოადგილე ქშეტრა მონან რაჰა, ტყეთა გენერალური ინსპექტორი კონდრამინიკამ რანგანატანი, ტოპოგრაფიის სამმართველოს უფროსის მოადგილე და მრჩეველი მათემატიკის დარგში ავალურ რამანატანი, ირიგაციისა და ენერგეტიკის საკითხთა კომიტეტის წევრი ჰაიათ მუჰამედი, ინდოეთის მთავრობის მრჩეველი მცენარეთა დაცვის დარგში კრიშნა ლალი, სამოქალაქო ავიაციის დეპარტამენტის ინსპექტორი ვარმა რავი. უტარ პრადეშის შტატის ირიგაციის დეპარტამენტის მთავარი ინჟინერი ჟქილ მიტრა, შრომის სამინისტროს შახტების მთავარი ინჟინრის მოადგილე გურბაჩან ჯაბი, პროფესორი სუბრაჰმანიამ კალაჰასტი, კაშხალ „ტუნგაბჰადრის" მთავარი ინჟინერი შრირანგაჩარი გომატამი, „სინდრი ფერტილაიზერს ენდ ქემიკალს ლიმიტედის" მთავარი ტექნოლოგი ქშიტიშ ჩაკრავორტი. დელეგაციას თან ახლავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტექნიკური დახმარების ადმინისტრაციის აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების სექტორის უფროსი ქ-ნი ელეონორა ჰინდერი.

მოსკოვში ჩამოსვლის შემდეგ დელეგაცია მიიღეს სსრ კავშირის უმაღლესი განათლების მინისტრმა ვ. პ. ელიუტინმა და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის საქმეთა სამმართველოს უფროსმა ა. ნ. ლავრიშჩევმა.

გაიყვნენ რა ჯგუფებად სპეციალობათა მიხედვით, დელეგაციის წევრებმა ინახულეს მოსკოვის სახელმწიფო დამპროექტებელი ინსტიტუტები „ჰიდროენერგოპროექტი", „თბოელექტროპროექტი", „ჰიდროფოლადპროექტი", ქიმიური მანქანების დამპროექტებელი სახელმწიფო ინსტიტუტი, გეოდეზიისა და კარტოგრაფიის ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, ოქროს სამეცნიერო-საკვლევი გეოლოგიურ-საძიებო ინსტიტუტი, საბჭოთა კავშირის ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემია, საბჭოთა კავშირის ქვანახშირის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, სტალინის სახელობის მოსკოვის საშთო ინსტიტუტი, სასუქისა და ინსექტოფუნგისიდების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, სტალინოგორსკის აზოტ-სასუქის ქარხანა, ვოსკრესენსკის ქიმიური კომბინატი და სხვა სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებები, ინსტიტუტები და საწარმოები.

5 ივნისს დელეგაციამ იმოგზაურა მოსკოვის სახელობის არხით, სადაც გაეცნო ჰიდროტექნიკურ ნაგებობებსა და მოწყობილობას.

დათვალიერების დროს საბჭოთა სპეციალისტებთან საუბარში ინდოელი სტუმრები დაინტერესდნენ ელექტროსადგურებისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა დაპროექტების, მანქანების კონსტრუირებისა და მრეწველობისა და სოფლის მეურნეობისათვის კადრების მომზადების საკითხებით.

10 ივნისს დელეგაცია გაემგზავრა ქალაქ ლენინგრადში, სადაც განაგრძობს მისთვის საინტერესო საკითხების გაცნობას.

# კარგი თაოსნობა

ძველი სენაკი ერთ-ერთი დიდი და კეთილმოწყობილი სოფელია ცხაკაიას რაიონში. სოფელს ამშვენებს საშუალო სკოლის ორსართულიანი კაპიტალური შენობა, კეთილმოწყობილი და ლამაზი სასოფლო კლუბი, რომლის მშენებლობა ახლახან დამთავრდა, საავადმყოფო, საექიმო უბანი, საფერშლო პუნქტი, ბიბლიოთეკა, საბავშვო ბაღი და სხვ. ძველ სენაკში არის მეღორეობის საჯიშე საბჭოთა მეურნეობა. სასოფლო საბჭო მნიშვნელოვან ორგანიზატორულ მუშაობას ეწევა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებისა და მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

სოფლის მშრომელები ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ სასოფლო საბჭოს ინიციატივას — გაჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი მოსავლის მოყვანისა და მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის. ეს საკითხი განიხილა სასოფლო საბჭოს სესიამ, მიღებული გადაწყვეტილება მთელ რიგ კონკრეტულ ვალდებულებებს ითვალისწინებს პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებისათვის. სესიის გადაწყვეტილებაში ნაკისრია ვალდებულება — კოლმეურნეობათა მთელი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანონ 20 ცენტნერი სიმინდი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 18 ცენტნერისა, ხოლო კვადრატულ-ბუდობრივი წესით ნათეს ნაკვეთებზე, რომლებსაც 250 ჰექტარი უჭირავს, 28-30 ცენტნერი; ერთ საფურაჟე ძროხაზე მიიღონ 700 ლიტრი რძე, რაც ბევრად აღემატება დავალებას; აბრეშუმის თვითეულ გრამ თესლზე მიიღონ 3 კილოგრამი პარკი, გეგმა კი 2,2 კილოგრამს ითვალისწინებს; მოიყვანონ ყურძნის, პირუტყვის საკვები კულტურებისა და სხვ. მაღალი მოსავალი.

სასოფლო საბჭოს სესიის გადაწყვეტილებით გათვალისწინებულია აგრეთვე სოფლის კეთილმოწყობა, გამწვანება, დეპუტატის ოთახის მოწყობა, სკოლების, კლუბის, ბიბლიოთეკისა და საექიმო უბნის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება.

ძველსენაკელებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს ფოცხოს სასოფლო საბჭო და უკვე შეუდგნენ ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებას. კარგად მუშაობს სასოფლო საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისია (თავმჯდომარე ნ. ბარამია), კომისიას თავის გარშემო შემოკრებილი ჰყავს დეპუტატები და აქტივისტები, და ყველა საკითხს მათი დახმარებით სწავლობს. კომისია სასოფლო საბჭოს სესიებსა და აღმასკომის სხდომებზე სისტემატურად აყენებს სხვადასხვა აქტუალურ საკითხებს. უკანასკნელად მან შეისწავლა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობისა და მეცხოველეობის განვითარების საკითხები. შედეგების განხილვისას კომისიის წევრებმა და აქტივისტებმა მრავალი საქმიანი წინადადება წამოაყენეს, რომელთა განხორციელებისათვის აღმასკომმა მიიღო სათანადო გადაწყვეტილება. მალე ორივე კოლმეურნეობაში შესამჩნევად გაძლიერდა მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ტემპი. წარმატებით შესრულდა კვადრატულ-ბუდობრივი წესით თესვის დავალება. ამჟამად გაჩაღებულია ნათესების მუშავება. კოლმეურნეთა გადაწყვეტილებაა შემჭიდროებულ ვადებში დაამთავრონ სიმინდის პირველი და მეორე თოხნა. კომისიის წინადადებით სასოფლო საბჭომ მოწინავე ბრიგადებისა და რგოლებისათვის დააწესა გარდამავალი დროშა.

ნაყოფიერად მუშაობენ სასოფლო საბჭოს დეპუტატები. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მევენახეობა-მებოსტნეობის ბრიგადის მერგოლემ დეპუტატმა ვ. ხუხიამ ვადამდე და მაღალხარისხოვნად დაამთავრა 5 ჰექტარ ვენახში ყველა სამუშაო. თვითეულ ჰექტარზე შეიტანა ტონანახევარი ფოსფოროვანი და კალიუმის სასუქი, აგრეთვე ნაკელი, ორ-ორჯერ ჩაატარა მწკრივთა შორის კულტივაცია და მოთოხნა. რგოლის წევრების პირობაა თვითეულ ჰექტარზე 200 ცენტნერი ყურძენი მოიყვანონ. შარშან ჰექტარზე 170 ცენტნერი მიიღეს. ამავე მეურნეობაში ბეჯითი შრომით გამოირჩევა სასოფლო საბჭოს დეპუტატი ზ. არახამია, რომელიც ყოველწლიურად ზრდის ბოსტნეული კულტურების მოსავლიანობას, გამომუშავების დღიურ ნორმებს 150-160 პროცენტით ასრულებს. ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის სამაგალითოდ შრომობენ დეპუტატები შ. პირტახია, ე. ჯღამაია და სხვები. დეპუტატ მ. ქანიას, რომელიც მომვლელად მუშაობს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმაში, 9 ძროხა აბარია. თვითეულ მათგანზე უკვე მიიღო 945 ლიტრი რძე, ამასთან მთლიანად შეინარჩუნა ნამატი. წარჩინებული მეცხოველის პირობაა გეგმის გადამეტებით რამდენიმე ასეული ლიტრი რძე მოწველოს. მთლიანად კოლმეურნეობამ ვალდებულება იკისრა წველადობის 1955 წლის დავალება ვადამდე შეასრულოს და წლის ბოლომდე დამატებით თვითეულ ძროხაზე 300 ლიტრი რძე მიიღოს.

კარგად მუშაობენ სასოფლო საბჭოს დეპუტატები ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაშიც.

სასოფლო საბჭოს, მისი დეპუტატების, ყველა კოლმეურნის ღირსეული საქმეა წარმატებით გაანაღდონ ნაკისრი ვალდებულებანი, კიდევ უფრო შეძლებული, კულტურული და კეთილმოწყობილი გახადონ სოფელი.

ა. პატარაია,
„კომუნისტის" საკ. კორ.

# ვიზრუნოთ ახალგაზრდობის შრომითი აღზრდისათვის

გორის რაიონის საშუალო სკოლებს ყოველწლიურად რამდენიმე ათეული ახალგაზრდა ამთავრებს. მათი დიდი უმრავლესობა სწავლას უმაღლეს სასწავლებელში განაგრძობს, ან კოლმეურნეობაში და საწარმოში სამუშაოდ მიდის. ბევრი მათგანი სწავლისა და შრომის საუკეთესო მაგალითებს იძლევა. მაგრამ საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა ნაწილი, რომელიც ვერ მოეწყო უმაღლეს სასწავლებელში, გაურბის საწარმოო შრომას და დროს უქმად ატარებს. რა თქმა უნდა, ასეთი ახალგაზრდები ცოტანი არიან, მაგრამ მაინც გვხვდებიან.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში სოფელ შინდისის საშუალო სკოლა 26 ახალგაზრდამ დაამთავრა, რომელთაგან უმრავლესობა უმაღლეს სასწავლებლებში მოეწყო და იქ წარმატებით სწავლობს. მაგრამ ზოგი მათგანი არც სასწავლებლად წასულა და არც კოლმეურნეობაში მუშაობს. მათ რიცხვს ეკუთვნიან: მ. სიმონიშვილი, გ. მაზმიშვილი, ა. ხარებაშვილი, ვ. თვალიაშვილი, ა. მოლიაძე და სხვები. აღსანიშნავია, რომ ისინი კომკავშირელები არიან.

როცა გ. მაზმიშვილს შევეკითხეთ, თუ რატომ არ მუშაობს სადმე, ან არ სწავლობს, მან სრულიად დამშვიდებით გვიპასუხა: ვემზადები უმაღლეს სასწავლებელში შესვლისათვისო. ნ. სა[...]ძეს გადაწყვეტილი აქვს შევიდეს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე, მაგრამ ის არსად არ მუშაობს.

თქმა არ უნდა, რომ ეს ახალგაზრდები სრულიად გაუმართლებლად მოქმედობენ. მათ სიმწიფის ატესტატები მიიღეს, მაგრამ ჯერჯერობით ჩაბმულნი არ არიან ცხოვრების ფერხულში. მათთან ერთად ბრალი მიუძღვის სკოლას, სადაც ისინი სწავლობდნენ, მასწავლებლებს, მშობლებს. ამ ახალგაზრდების ბედით არ დაინტერესებულან არც სასკოლო, არც საკოლმეურნეო კომკავშირული ორგანიზაციები.

შინდისელი ახალგაზრდების მაგალითი გამონაკლისი როდია. თითქმის ასეთივე მდგომარეობაა ატენის და ტ[...]ვის სასოფლო საბჭოებში.

საჭიროა მთელი მონდომებით ვიზრუნოთ ახალგაზრდობის შრომითი აღზრდისათვის, ამ საქმეში ჩავაბათ სკოლა, ოჯახი, პარტიული, კომკავშირული და სხვა ორგანიზაციები.

ა. ჩხეიძე,
გორის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგე.

# მეტი ყურადღება პარკის კეთილმოწყობას

ქ. თბილისის კიროვის სახელობის პარკი დედაქალაქის მცხოვრებთა საუკეთესო დასასვენებელი ადგილია. აქ ყოველდღე ნახავთ ბევრ დამსვენებელს.

პარკის ცენტრალური ტერიტორიის კარგი გამწვანება ადასტურებს, რომ პარკის მუშაკები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ამ საქმეს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ აქ ყველა პირობა იყოს შექმნილი დასვენებისათვის.

პირველ რიგში აღსანიშნავია ის, რომ პარკის საგრძნობ ტერიტორიაზე მოწყობილი არ არის განათება, რის გამო საღამოს საათებში მოქალაქეები ვერ სარგებლობენ აღნიშნული ტერიტორიით.

პარკის კოლექტივი (გამგე ამხ. ა. ფხაკაძე) ნაკლებად ზრუნავს დამსვენებელთა კულტურული მომსახურებისათვის. აქ არა აქვთ ჭადრაკი, შაში და სხვა სათამაშოები, საამისოდ გამოყოფილი არ არის სპეციალური ადგილი.

მოუგვარებელია ბავშვთა გართობა-დასვენება.

წყლის აუზი, რომლის მშენებლობაზე რამდენიმე ათასი მანეთი დაიხარჯა, უმოქმედოდ არის. სავაჭრო კიოსკი მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს, პროდუქტებით მის მომარაგებას მცირე ყურადღება ექცევა.

საზაფხულო კინოთეატრი, რომელიც პარკის ტერიტორიაზე მდებარეობს, ცუდად როდი ემსახურება მაყურებლებს, მაგრამ რატომღაც განუზრახავთ მის გვერდით ტირის მოწყობა, რაც ხელს შეუშლის კინოთეატრის ნორმალურ მუშაობას. ტირისათვის სხვა ადგილის გამოყოფაც შეიძლება.

პარკის მუშაკთა კოლექტივმა დაუყოვნებლივ უნდა გამოასწოროს აღნიშნული ნაკლოვანებანი, რათა ყველა პირობა შეიქმნას მოსახლეობის კულტურული დასვენებისათვის.

ი. ბეჟანიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ალბანეთი მონაწილეობას მიიღებს მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების საკითხთა საერთაშორისო კონფერენციაში

ტირანა, 13 ივნისი. (საკდესი). გაზეთებში გამოქვეყნდა ცნობა იმის შესახებ, რომ ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ გადაწყვიტა მონაწილეობა მიიღოს მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების საკითხთა საერთაშორისო კონფერენციაში. ცნობაში ნათქვამია:

1955 წლის 1 თებერვალს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ჰამარშელდმა ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას გამოუგზავნა მიწვევა მონაწილეობა მიიღოს მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების საკითხთა საერთაშორისო კონფერენციაში, რომელსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია იწვევს ჟენევაში 1955 წლის აგვისტოში. ა. წ. 11 ივნისს ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბეჰარ შტილამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს აცნობა, რომ ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო მიწვევა და გადაწყვიტა მონაწილეობა მიიღოს კონფერენციაში.

## ინდოეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

დელი, 11 ივნისი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ჰინდუსტან ტაიმსი" იუწყება, 10 ივნისს დელში გაიხსნა ინდოეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელიც 10 დღეს გაგრძელდება.

პლენუმი განიხილავს ინდოეთის კომპარტიის მომავალ ყრილობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

## ინდოელ მსახიობთა გამოსვლა პეკინში

პეკინი, 13 ივნისი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, 12 ივნისს პეკინში გაიმართა პირველი გამოსვლა ინდოელი მსახიობებისა, რომლებიც ჩინეთში ჩამოვიდნენ ინდოეთის კულტურის მოღვაწეთა დელეგაციის შემადგენლობაში.

კონცერტს დაესწრნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერი ჯოუ ენ-ლაი და მთავრობის სხვა ხელმძღვანელები, აგრეთვე დიპლომატიური კორპუსის წევრები.

კონცერტის დამთავრების შემდეგ, რომელმაც დიდი წარმატებით ჩაიარა, მაყურებლებმა ყვავილები მიართვეს ინდოელ მსახიობებს.

## ინდონეზიასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ვაჭრობის გაფართოებისათვის

ჯაკარტა, 11 ივნისი. (საკდესი). ინდონეზიის საზოგადოებრიობა და საქმიანი წრეები მოითხოვენ, რომ გაფართოვდეს ინდონეზიის ვაჭრობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან. ანტარას სააგენტო იუწყება, რომ მომავალში უნდა დაიდოს ახალი სავაჭრო შეთანხმება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და ინდონეზიას შორის. თუ შარშან შეთანხმებით გათვალისწინებული იყო 6 მილიონი გირვანქა სტერლინგის საქონლის გაცვლა, წელს ინდონეზიასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას განზრახული აქვთ დადონ ხელშეკრულება 20 მილიონი გირვანქა სტერლინგის საქონლის გაცვლაზე.

უახლოეს ხანში პეკინს გაემგზავრება ინდონეზიის სავაჭრო დელეგაცია.

## გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ოტო გროტევოლის ინტერვიუ

ბერლინი, 11 ივნისი. (საკდესი). როგორც ადნ-ის სააგენტო იუწყება, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ოტო გროტევოლმა, უპასუხა რა გუშინ ადნ-ის სააგენტოს წარმომადგენლის კითხვაზე, თუ რა თვალსაზრისი აქვს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობისადმი საბჭოთა მთავრობის ნოტის შესახებ, შემდეგი განაცხადა:

გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობისადმი საბჭოთა მთავრობის ნოტასთან დაკავშირებით დასავლეთ გერმანიის ზოგიერთი გაზეთი სხვადასხვა ჭორს იგონებს, რათა დაამახინჯოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თვალსაზრისი ამ საკითხში.

ხომ კარგად არის ცნობილი, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ცდილობს გადაჭრას გერმანელი ხალხის ძირითადი ეროვნული ამოცანა — ერთიანი დემოკრატიული გერმანიის შექმნის ამოცანა. ამასთან იგი ითვალისწინებს ევროპაში მშვიდობის უზრუნველყოფის ინტერესებს. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას ყოველთვის მიაჩნდა, რომ სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკას შორის ნორმალური ურთიერთობის დამყარება ყველა გერმანელის ინტერესებს შეესაბამება.

ამასთან დაკავშირებით მოგაგონებთ, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ეს თვალსაზრისი უკვე ნათლად იყო ჩამოყალიბებული საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ჩემი საუბრის დროს 1954 წლის ივნისში მოსკოვში.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, რომელსაც ფედერალური რესპუბლიკის მთავრობისადმი საბჭოთა მთავრობის ნოტა გააცნო საბჭოთა ელჩმა ბერლინში, ახლაც მტკიცედ უჭერს მხარს საბჭოთა მთავრობის ამ ნაბიჯს. მან კმაყოფილებით შეიტყო, რომ დასავლეთ გერმანიის საზოგადოებრიობა და პოლიტიკური პარტიები მხარს უჭერენ საბჭოთა კავშირის წინადადებას ფედერალურ რესპუბლიკასთან ურთიერთობის ნორმალიზაციის შესახებ.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ითვალისწინებს, რომ საბჭოთა კავშირსა და ფედერალურ რესპუბლიკას შორის დიპლომატიური, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის დამყარება ხელს შეუწყობს არა მარტო საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომ შენელებას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ევროპის მშვიდობის უზრუნველყოფისათვის, არამედ ხელს შეუწყობს თვით გერმანელთა ურთიერთგაგებასაც, ურომლისოდაც ვერ გადაწყდება ერთიანი, თავისუფალი, დემოკრატიული გერმანიის შექმნის საკითხი.

## დასავლეთ გერმანიის ბუნდესრატმა უარყო პროექტი კანონისა მოხალისეთა შესახებ

ბერლინი, 11 ივნისი. (საკდესი). როგორც დასავლეთ ბერლინის გაზეთები იუწყებიან, ფედერალური რესპუბლიკის ბუნდესრატმა (პარლამენტის ზედა პალატა) გუშინ ერთხმად უარყო მთავრობის მიერ წარდგენილი პროექტი კანონისა მოხალისეთა შესახებ.

მთავრობამ ეს კანონპროექტი ბუნდესრატს განსახილველად გაგზავნა გასული წლის დამლევს. ამ კანონპროექტის მიზანია უზრუნველყოს პირველი სამხედრო კონტინგენტების შექმნა პარიზის შეთანხმებათა შესაბამისად.

გაზეთები აღნიშნავენ, რომ ბუნდესრატში მოხალისეთა შესახებ კანონპროექტის უარყოფის მიზეზი, კერძოდ, ის იყო, რომ „ეს კანონპროექტი უფლებრივად არ არის საკმაოდ დასაბუთებული".

„სავსებით ნათელია, — წერს მოწინავე სტატიაში გაზეთი „შპანდაუერ ფოლკსბლატი", რომ ეს საყვედურია ფედერალური მთავრობისადმი, საყვედური, რომელიც ხაზგასმით აღნიშნავს ოპოზიციის გაფრთხილებას ზედმეტი სიჩქარის შესახებ".

როგორც ცნობილია სოციალ-დემოკრატიული ოპოზიციის ლიდერებმა დაგმეს პროექტი „კანონისა მოხალისეთა შესახებ", რომელიც მთავრობამ შეიტანა და დაახასიათეს იგი როგორც კიდევ ერთი დაბრკოლება გერმანიის საკითხის მოწესრიგების გზაზე, განსაკუთრებით ოთხი სახელმწიფოს მოსალოდნელი მოლაპარაკების გამო.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელ მომენტამდე დასავლეთ გერმანიის პოლიტიკურ წრეებში არ გამოთქმულა ეჭვი იმის შესახებ, რომ ბუნდესრატი მიიღებდა ამ კანონპროექტს.

## ადენაუერი ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა

ლონდონი, 13 ივნისი. (საკდესი). როგორც ლონდონის რადიო იუწყება, გუშინ საღამოს კანცლერი ადენაუერი ბონიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში გაფრინდა.

## გაიხსნა ფინელი ხალხის დემოკრატიული კავშირის ყრილობა

ჰელსინკი, 12 ივნისი. (საკდესი). გუშინ ტამპერეში გაიხსნა ფინელი ხალხის დემოკრატიული კავშირის მე-4 ყრილობა. ყრილობა გახსნა კავშირის თავმჯდომარემ კ. ლ. კულომ. მან დამსწრეთ მოაგონა ფინელი ხალხის დემოკრატიული კავშირის შექმნის მიზნები და აღნიშნა, რომ კავშირი გადაიქცა მასობრივ გაერთიანებად, რომელშიც 1.600 პირველადი ორგანიზაცია შედის.

ყრილობას ესწრებიან უცხოელი სტუმრები — პოლონეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლები, რომლებმაც მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს ყრილობას.

ყრილობამ მოისმინა კავშირის მდივნის სალონენის საანგარიშო მოხსენება კავშირის საქმიანობის შესახებ. სეიმში ფინელი ხალხის დემოკრატიული კავშირის ფრაქციის საქმიანობის შესახებ საანგარიშო მოხსენება გააკეთა სეიმის დეპუტატმა ესა ჰიეტანენმა.

მოხსენება საერთო პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ გააკეთა სეიმის დეპუტატმა ეინო კილპიმ. შემდეგ ყრილობამ მოისმინა სეიმის დეპუტატის იური ენეს მოხსენება ფინეთის ეკონომიური მდგომარეობის შესახებ.

## ხანძარი კუნძულ სენტ-ლუსიაზე (ვესტ-ინდოეთი)

ნიუ-იორკი, 13 ივნისი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი პორტ-ოფ-სპეინიდან (კუნძული ტრინიდადი) იუწყება, 9 ივნისს საღამოს ქალაქ სუფრიერში (კუნძული სენტ-ლუსია — ინგლისის სამფლობელო ვესტ-ინდოეთში) გაჩნდა ხანძარი, რომელმაც ნახევარი ქალაქი მოსპო. უსახლკაროდ დარჩა 2.000-ზე მეტი კაცი.

კუნძული სენტ-ლუსია მდებარეობს დაახლოებით 300 მილზე ტრინიდადის ჩრდილოეთით, ხოლო ქალაქი სუფრიერი, რომელიც კუნძულის დასავლეთ სანაპიროზეა, 15 მილით დაშორებულია სენტ-ლუსიის დედაქალაქ კასტრის. ქალაქ სუფრიერში 3.000-ზე მეტი კაცი ცხოვრობს.

უკანასკნელი 7 წლის განმავლობაში ეს მეორე გამანადგურებელი ხანძარია კუნძულ სენტ-ლუსიაზე. 1948 წელს ხანძარმა თითქმის მთლიანად მოსპო ქალაქი კასტრი.

## რუმინეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობა

ბუქარესტი, 13 ივნისი. (საკდესი). გაზეთებმა გამოაქვეყნეს რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში გამოცხადდნენ და დანაშაული აღიარეს ამერიკის ჯაშუშმა-პარაშუტისტებმა გეორგიუ გეორგემ და კრისტესკუ გეორგემ, რომლებმაც სახელმწიფო უშიშროების ორგანოებს გადასცეს იარაღი, მიმღებ-გადამცემი რადიოსადგურები, შიფრები, კოდები და ამერიკული წარმოების მთელი საჭურველი, რაც მათ ჰქონდათ.

ჯაშუშებმა განაცხადეს, რომ საზღვარგარეთ ყოფნის დროს ისინი გადაიბირა ამერიკის ინფორმაციის სამსახურმა რუმინელ ემიგრანტებში ჯაშუშური მუშაობისათვის. შემდეგ ისინი ერთ წელიწადს სწავლობდნენ სპეციალურ კურსებზე ჯაშუშობისა და დივერსიის ორ სკოლაში, რომლებიც საფრანგეთის ტერიტორიაზეა, — ერთი ანდილში პარიზიდან 50-60 კილომეტრის დაშორებით, მეორე — შევილში.

ჯაშუშთა კურსების დამთავრებამდე ცოტა ხნით ადრე ორივე ჯაშუში ამერიკის თვითმფრინავით გადასხეს საბერძნეთში და იმყოფებოდნენ ათენის მიდამოებში. აქ მომზადების დამთავრების შემდეგ მათ ამერიკის დაზვერვისაგან მიიღეს დავალება და ღამით ამერიკის თვითმფრინავმა ისინი პარაშუტით გადმოსხა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

გამოცხადდნენ რა სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში, ორივე ჯაშუშმა ნებაყოფლობით და გულწრფელად აღიარა ჩადენილი დანაშაულებრივი მოქმედებანი და ითხოვა, რომ მათი საქმის განხილვის დროს შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულ იქნას ის გარემოება, რომ ისინი შეგნებულად სინანულს გამოთქვამენ ჩადენილ დანაშაულობათა გამო.

მიიღო რა მხედველობაში გეორგიუ გეორგესა და კრისტესკუ გეორგეს გულწრფელი აღიარება და ახელმძღვანელა რა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონების სულისკვეთებით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ უფლება მისცა მათ თავისუფლად აირჩიონ ადგილსაცხოვრებელი და ჩაებან შრომით საქმიანობაში.

## მოსკოვიდან გაემგზავრა დოქტორი ლ. დ. ქჰათრი

საბჭოთა კავშირში სამ კვირამდე სტუმრად იყო ჰაიდარაბადის შტატის (ინდოეთის რესპუბლიკა) სამედიცინო სამსახურის დეპარტამენტის დირექტორი დოქტორი ლ. დ. ქჰათრი. მოსკოვში ყოფნის დროს დოქტორმა ქჰათრიმ ინახულა მთელი რიგი სამედიცინო სამეცნიერო-საკვლევო და სამკურნალო დაწესებულებანი, დაათვალიერა დედაქალაქის ღირსშესანიშნაობანი, იყო მუზეუმებსა და თეატრებში. დოქტორი ქჰათრი გაემგზავრა ტულის ოლქში, სადაც გაეცნო სოფლად ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციას. მოსკოვის სამედიცინო საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი გამოიწვია დოქტორ ქჰათრის მოხსენებამ ინდოეთში ჯანმრთელობის დაცვის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ, რომელიც მან გააკეთა სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნ. ა. სემაშკოს სახელობის ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციისა და მედიცინის ისტორიის ინსტიტუტში. მომხსენებელმა დამსწრეთ გაუზიარა აგრეთვე თავისი შთაბეჭდილებანი საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვის შესახებ.

7 ივნისს დოქტორი ქჰათრი მიიღო სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა მ. დ. კოვრიგინამ.

9 ივნისს დოქტორი ლ. დ. ქჰათრი მოსკოვიდან გაემგზავრა. (საკდესი).



სურათზე: დიზელ-ელექტრომავალი გემი „როსია" სოხუმის ნავსადგურში.
ფოტო გ. ტოლმაჩევისა.

# ს პ ო რ ტ ი ს ა მ ბ ე ბ ი

★

## უძლიერესთა შეხვედრები კალათბურთში

ბუდაპეშტში დამთავრდა ევროპის IX ჩემპიონატის წინასწარი შეხვედრები კალათბურთში ვაჟთა გუნდებს შორის. სსრ კავშირის ნაკრებმა გუნდმა უკანასკნელი მატჩი მოიგო შვეიცარიის კალათბურთელებთან ანგარიშით 87:49 და ფინალში გავიდა.

ამრიგად, დასკვნით ასპარეზობაში მონაწილეობას იღებენ: ბულგარეთის, უნგრეთის, იტალიის, პოლონეთის, რუმინეთის, სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის კალათბურთელთა კოლექტივები.

## ევროპის პირველობა ფრენბურთში

წელს ევროპის პირველობის გათამაშება ფრენბურთში გაიმართება ბუქარესტში. ჩემპიონატში მონაწილეობას მიიღებენ სსრ კავშირის, ავსტრიის, ბულგარეთის, იტალიის, პოლონეთის, რუმინეთის, საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიისა და სხვა ქვეყნების ნაკრები გუნდები.

ამ რამდენიმე დღის წინათ საბჭოთა კავშირის ფრენბურთელ ქალთა და ვაჟთა ნაკრები გუნდი ბუქარესტში ჩავიდა. ფრენბურთში ევროპის პირველობის გათამაშება 15 ივნისს დაიწყება.

## საერთაშორისო შეხვედრები ფეხბურთში

მიმდინარე სასპორტო სეზონში სსრ კავშირის სხვადასხვა ქალაქებში გაიმართება მრავალი საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება ფეხბურთში. ამას წინათ საბჭოთა კავშირში სტუმრად იყვნენ რუმინეთისა და ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთელთა კოლექტივები. 23 ივნისს საბჭოთა კავშირს პირველად ესტუმრებიან ლიბანის ფეხბურთელები, რომლებიც მატჩებს გამართავენ მოსკოვში, ბაქოში, ერევანში და სხვა ქალაქებში. 26 ივნისს საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა პირველი ნაკრები გუნდი სტოკჰოლმში გამართავს საერთაშორისო ამხანაგურ შეჯიბრებას შვეციის პირველ ნაკრებ გუნდთან. ამავე დღეს მოსკოვის „დინამოს" სტადიონზე შედგება ამ ქვეყნების მეორე ნაკრები გუნდების მატჩი.

ივლისში სსრ კავშირში ჩამოვლენ — ბელგრადის გუნდი „პარტიზანი", მილანის ფეხბურთელთა ნაკრები კოლექტივი, შვეიცარიის გუნდი. აგვისტოში საბჭოთა კავშირში მოელიან ინგლისის ცნობილ გუნდს „ვულვერჰემპტონ უონდერერსს" და სხვა გუნდებს.

## სსრ კავშირის პირველობაზე „ა" კლასი

ლენინგრადი. 12 ივნისი. სპორტის [illegible] ათასობით მოყვარული ინტერესით ადევნებდა თვალს ცდსა-სა და „შრომითი რეზერვების" ფეხბურთელთა გუნდების ასპარეზობას. მატჩი დამთავრდა ფრედ 1:1.

ქუიბიშევი. 12 ივნისი. აქ შედგა XVII ჩემპიონატის მორიგი შეჯიბრება კიევის „დინამოსა" და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის" ფეხბურთელთა კოლექტივებს შორის. დინამოელებმა მოწინააღმდეგის კარში ორი ბურთი გაიტანეს და შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 2:0.

მინსკი. 12 ივნისი. ამ დღეს მინსკის სპარტაკელთა წინააღმდეგ თამაშობდა დედაქალაქის „ლოკომოტივი". ლოკომოტიველებმა მოიგეს შეჯიბრება ანგარიშით 1:0.

## შეჯიბრება სპორტის სახანძრო-გამოყენებითს სახეობებში

15 ივნისს თბილისის „დინამოს" სტადიონზე დაიწყება რესპუბლიკური შეჯიბრება სპორტის სახანძრო-გამოყენებითს სახეობებში.

შეჯიბრების პროგრამაშია მეხანძრეთა [illegible] შამბა საიერიშო და გასაშლელ კიბეებზე, [illegible] ძნელეთა გადალახვა 100-მეტრიან ზოლზე, ათეულების საბრძოლო გაშლა, სახანძრო ამანათრბენი 4×100 მეტრზე ხანძრის სპეციალური კერის ჩაქრობით და ტანვარჯიში.

შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ თბილისის, სოხუმის, ბათუმის, ქუთაისის, რუსთავის, გაგრის, ფოთისა და სტალინირის სახანძრო რაზმები.

## ა მ ი ნ დ ი

თბილისის ამინდის ბიუროს ცნობით 15 და 16 ივნისს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, ალაგ-ალაგ ხანმოკლე წვიმა და ელჭექი. მეტწილად სანაპირო რაიონებში. ცვალებადი მიმართულების ქარი 3-7 მეტრი წამში. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 15-20, დღისით 24-29 გრადუსი; მთიან რაიონებში ღამით 11-16, დღისით 18-23 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში — ცვალებადი მოღრუბლულობა, ალაგ-ალაგ ხანმოკლე წვიმა და ელჭექი. ცვალებადი მიმართულების ქარი 3-7 მეტრი წამში. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 14-19, დღისით 27-32 გრადუსი; მთიან რაიონებში ღამით 11-16, დღისით 21-26 გრადუსი.

რედაქტორი ნ. ჯაში.

# ი ნ დ ო ნ ე ზ ი ა შ ი

ინდონეზია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოა. თავიანთი დამოუკიდებლობა ინდონეზიელებმა მოიპოვეს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, იაპონელ ოკუპანტთა და ჰოლანდიელ კოლონიზატორთა წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლის შედეგად.

ინდონეზია ტროპიკულ ზოლში მდებარეობს. იგი აგრარული ქვეყანაა: ნალექების დიდი რაოდენობა, ნაყოფიერი ნიადაგი და ცხელი ჰავა ძალიან ხელსაყრელ პირობებს ქმნის იმისათვის, რომ განვითარდეს სოფლის მეურნეობა. ინდონეზია მდიდარია მცენარეულობით. მდიდარი და მრავალფეროვანია მისი ცხოველთა სამყაროც.

ინდონეზიელთა კვების ძირითადი პროდუქტია ბრინჯი. ინდონეზიის ზოგიერთ ნაწილში წელიწადში სამი მოსავალი მოჰყავთ. მაგრამ ინდონეზიას თავისი ბრინჯი არ ჰყოფნის და საზღვარგარეთიდან უხდება მისი შეტანა. ეს იმით აიხსნება, რომ კოლონიზატორები შეგნებულად უწყობდნენ ხელს მხოლოდ იმ სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებას, რომლებსაც მათთვის დიდი სიმდიდრე მოჰქონდა. კოლონიზატორებს ინდონეზიაში არ აუშენებიათ არც ერთი მეტალურგიული ან მანქანათმშენებელი ქარხანა. განვითარდა მხოლოდ მსუბუქი მრეწველობის წვრილი ნახევრადკუსტარული საწარმოები.

ამჟამად ინდონეზიაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების ყველა სფეროში ხორციელდება დემოკრატიული რეფორმები. ინდონეზიელი ხალხი აქტიურად ემზადება პარლამენტის არჩევნებისა და დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის, რაც მიმდინარე წელს უნდა მოეწყოს. ამ ორ მოვლენას დიდი მნიშვნელობა აქვს ინდონეზიისათვის, რამდენადაც მისი ხალხი პირველად თვით გადაწყვეტს თავის საკუთარ ბედს, აირჩევს თავის მთავრობას და მიიღებს კონსტიტუციას. ფაბრიკა-ქარხნებში, სოფლებში, სკოლებში, დაწესებულებებში — ყველგან ეწყობა ხალხმრავალი კრებები, სადაც განიხილავენ საყოველთაო არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ამას წინათ ინდონეზიის ქალაქ ბანდუნგში შედგა აზიისა და აფრიკის ქვეყნების კონფერენცია, რომელიც დიდი ისტორიული მოვლენა იყო ამ ქვეყნების ეროვნული განთავისუფლებისათვის და კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გზაზე. ინდონეზიელები ამაყობენ [illegible] ბანდუნგში ხელი შეუწყო ახალგაზრდა ინდონეზიის რესპუბლიკის ავტორიტეტის განმტკიცებას საერთაშორისო ასპარეზზე.

ინდონეზიის ხალხი, რომელსაც ბევრი სიძნელის გადალახვა უხდება, განაგრძობს ბრძოლას კოლონიური ჩაგვრის შედეგების წინააღმდეგ, მშრომელთა ცხოვრების გაუმჯობესებისათვის, თავისი დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის. ამ ბრძოლაში აქტიურ მონაწილეობას იღებს ინდონეზიის კომუნისტური პარტია, რომელსაც ამას წინათ დაარსებიდან 35 წელი შეუსრულდა. ინდონეზიის კომუნისტური პარტია მთელ პატრიოტულ და დემოკრატიულ ძალებთან ერთად დაუცხრომლად იცავს ინდონეზიის დამოუკიდებლობას, შეუპოვრად იბრძვის იმპერიალისტი კოლონიზატორების ხრიკების წინააღმდეგ, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის.

ინდონეზიელი ხალხის ბრძოლას მშვიდობისა და სრული ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მხარს უჭერს მთელი პროგრესული კაცობრიობა.



**სურათზე:** ინდონეზიის დედაქალაქ ჯაკარტის ერთ-ერთი მოედანი.

ფოტო ვ. მიკოშისა და ი. სოკოლნიკოვისა

(საკდესის ფოტოქრონიკა).

## დღეს თბილისის თეატრებში

**რუსთაველის სახელობის** — დონ სეზარ დე ბაზანი, **მარჯანიშვილის სახელობის** — მარიამ სტიუარტი, **გრიბოედოვის სახელობის** — იასამნის ბაღში, **მუსიკალური კომედიის** — სალხინობელი, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — გიქორი (აბონემენტი № 6, 7 ს.).

## კინოთეატრებში

**რუსთაველის სახელობის, პლეხანოვის სახელობის კლუბი** — ავარა (I და II სერია), **ამირანი, ვოროშილოვის სახელობის კლუბი** — ქარიშხალი, **თბილისი, ისანი (საზაფხულო)** — მწყემსის შვილი, **კოლმეურნე, კიროვის სახელობის პარკი** — ისინი ჩამოვიდნენ მთიდან, **ძერჟინსკის სახელობის კლუბი, კომუნარების ბაღი** — დედა, მამა, მსახური და მე, **კოლხიდა, ოფიცერთა სახლი, გორკის სახელობის კულტურის სახლი** — დილა მშვიდობისა, **ოქტომბერი** — ორი ბიჭი მიწა, **სპარტაკი** — ბაიჯუ ბავრა, **კომკავშირელი** — მაკლოვია, **კოლხიდა (საზაფხულო)**—ქალიშვილს პაემანზე მიეჩქარება, **ისანი (საზამთრო)** — ბედუკუღმართნი.

## დისერტაციების დაცვა

### სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

(უნივერსიტეტის ქ. № 1)

1955 წ. 25 ივნისს დღის 12 საათზე № 107 აუდიტორიაში ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

**ვიოლეტა ვასილის ასული ფურცელაძე**

დაიცავს დისერტაციას თემაზე: „სახელადი შემასმენელი თანამედროვე გერმანულ ენაში და მისი ეკვივალენტები ქართულში".

1955 წ. 25 ივნისს დღის 3 საათზე № 107 აუდიტორიაში ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

**თამარ აკაკის ასული საჯაია**

დაიცავს დისერტაციას თემაზე: „ა. ბარბიუსის შემოქმედებითი გზა".

დისერტაციების გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

**საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველო „საქმთავარსოფლმომარაგება"** აცხადებს ყველა კლიენტის საყურადღებოდ, რომ 1955 წლის 1 ივლისიდან ეწყობა ჩვენს სისტემაში სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია, რის გამო საწყობებიდან საქონლის გაცემა არ იწარმოებს: „საქმთავარსოფლმომარაგების" ცენტრალურ ბაზაში — 1 ივლისიდან 8 ივლისამდე, აფხაზეთის და აჭარის კანტორების საწყობებიდან — 1 ივლისიდან 7 ივლისამდე, ხოლო ყველა დანარჩენ განყოფილებაში — 1 ივლისიდან 5 ივლისამდე.

მეუღლე რაფიელ, შვილები ოლეგ, გიორგი, თემურ იუწყებიან
**თინა ვარლამის ასულ ლორიას**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 16-VI, 6 ს. ქ. ქუთაისში, გამოსვენება ნინოშვილის ქ. № 17, მე-9 შესახვევი.

საქშამპანკომბინატის თერჯოლის ღვინის ქარხნის კოლექტივი იუწყება
**თინა ვარლამის ასულ გურეშიძე-ლორიას**
გარდაცვალებას.

შვილები მარიამ, საშა, ანდრო, კოლია, დები ლენა, ალექსანდრა, ძმა ხარიტონ ოჯახებით იუწყებიან
**ლიზა ტოტიას ასულ ჯანაშია-ბასილაიას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15-VI, 8 ს. ფასანაურის ქ. № 17. დაკრძალვა 19-VI, 4 ს. ფოთში, გამოსვენება ჭალადიდელის ქ. № 64.

მოქალაქე ქეთევან დავითის ასულმა კოტიაშვილი-გიგილაშვილმა, მცხოვრებმა ფალიაშვილის ქ. № 84, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ **აკაკი გრიგოლის-ძე გიგილაშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო კოლეგია.

მშობლები დარიკო, ბარნაბ, მეუღლე შოთა, და მანია, ძმა ილია ოჯახებით იუწყებიან
**ტატიანა ბარნაბის ასულ ქანქალეიშვილი-ბერძენიშვილის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 16-VI სოფ. ჭაგანში (სამტრედიის რაიონი).

შვილი ფაინა ანანოვი ოჯახით იუწყება
**ალექსანდრა დარმატის ასულ გუნიავას**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 16-VI ქ. ზესტაფონში, გამოსვენება კუიბიშევის ქ. № 6.

მეუღლე ელენე, შვილები ოფელია, შოთა, და კატუშა ოჯახით იუწყებიან დოცენტ
**ავთანდილ მიხეილის-ძე ხამსონიას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15-VI, 8 ს. გამოსვენება 16-VI, 5 ს. სამხედრო ქ. № 6-ა.

მეუღლე ქსენია, შვილები ლამარა, შალვა, ვარლამ, ნანი ნათესავებით იუწყებიან
**ამბაკო დიანოზის-ძე გვაზავას**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 16-VI სოფელ საგვაზავოში (აბაშის რაიონი).

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები იუწყებიან დოცენტ
**მაია ვარლამის ასულ ბაქრაძის**
გარდაცვალებას. გამოსვენება 14-VI, 6 ს. არაგვის ქ. № 7.

შვილები სერგო, ნადია, ანო, ნათელა ოჯახებით იუწყებიან
**ელისაბედ სოლომონის ასულ ლულუნაძის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 16-VI ქ. გორში, გამოსვენება ორჯონიკიძის ქ. № 74.

მეუღლე ნინო ხაბაზიშვილი, შვილები ცირა, თენგიზ, ძმები, გრიგოლ, მექი, დები, ნინო, ოლღა ოჯახებით იუწყებიან
**ვარლამ ერმილეს-ძე კოპალეიშვილის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15-VI, 8 ს. გამოსვენება 16-VI, 6 ს. ჩეღელთის ქ. № 11.

**რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი:** თბილისი, ლენინის ქ. № 14. **ტელეფონები:** რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, **ტელეფონები განყოფილებებისა:** პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-[illegible]-48, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-51-81, გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

უე 04129 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.